პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 191 (1932) ოთხშაბათი, 19 აგვისტო, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

პასუხისმგებლობა ხარისხისათვის

სოფლად წლითიწლობით იცვლება სამეურნეო სიტუაცია. სულ უფრო მეტ ნაყოფს იძლევა მიწათმოქმედების დამოუკიდებლობის წახალისებისათვის მეცადინეობა, ის, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება დამზადების, ტრანსპორტის, დაცვა-შენახვის, გადამუშავებისა და ვაჭრობის სისტემასთან ერთად ერთიან სასურსათო კომპლექსში მოექცა.

ამ კომპლექსის მუშაობაზე სრულიად სამართლიანად მსჯელობენ იმის მისედვით, თუ მოსახლეობა რამდენად შეუფერხებლად მარაგდება მაღალხარისხოვანი სასურსათო პროდუქტებით, რასაც უყურებს და რის ყიდვაც მაღაზიაში შეუძლია.

სწორედ ამ პოზიციიდან უნდა წყდებოდეს სასურსათო პროგრამის ყველა საკითხი, რადგან სხვა დარგებთან შედარებით სოფლის მეურნეობაში საბოლოო შედეგები დიდად არის დამოკიდებული ხარისხზე.

უხვი და ჩინებული პროდუქციის წარმოებისათვის, მომხმარებლამდე მიტანისათვის კი საჭიროა ადამიანის დაინტერესება — იყოს კომპეტენტური, კვალიფიციური, საქმის ერთგული.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ამგვარი ინტერესი აქვთ იჯარულ, სტაბილურ კოლექტივებს; სადაც ურთიერთდახმარება და კონტროლი სუფევს, ახალბედები პროფესიულ ჩვევებს მალე ითვისებენ, მტკიცეა დისციპლინა, ხოლო შრომის ანაზღაურება უშუალოდ არის დამოკიდებული საბოლოო შედეგებზე. ამ მხრივ სამაგალითოა წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საიჯარო რგოლი, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი გალუშა სახოკია ხელმძღვანელობს. აქ პლანტაციისათვის განკუთვნილი „პასპორტის" მიხედვით ახორციელებენ აგროტექნიკურ ღონისძიებებს. რგოლი მიწენილი ხარისხნაშენიანი პლანტაციისათვის მთლიანად აგებს პასუხს და მეურნეობას ხარისხოვან ნედლეულს აბარებს — მანქანით მოკრეფილი ფოთლის 80 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ყუთთან, მხოლოდ პირველი კლასის ფურაჟს ამზადებს თელავის რაიონის კისისხევის საბჭოთა მეურნეობის საკვებმომპოვებელთა საიჯარო რგოლი (ხელმძღვანელი — მერაბ მასურაშვილი). ამას უმთავრესად იმის წყალობით აღწევენ, რომ ზედმიწევნით ზუსტად იცავენ მოსავლის აღებისა და დაბინავების ტექნოლოგიას, საკვების ვიტამინებით გამდიდრებისათვის მარჯვედ იყენებენ სხვადასხვა კონსერვანტს. მაგრამ პროდუქციის ხარისხის, მისი დაცვა-შენახვის გაუმჯობესებას ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ. მაშასადამე, ამ საქმეს არც ჯეროვანი სტიმული ეძლევა. ამიტომ, აგრეთვე იმის გამო, რომ მოსავლის აღების წესებს არ იცავენ და სამუშაოს აყოვნებენ, ოჩამჩირის რაიონის მოქვის საბჭოთა მეურნეობასა და კოჩარის კოლმეურნეობაში გაუხეშებულ ჩაის ფოთოლს კრეფენ.

ხარისხობრივი მაჩვენებლებისადმი ყურადღების გამახვილება მართებთ მეცხოველეებს. საქმის მარჯვე ორგანიზაციის წყალობით შესაძლებელია მნიშვნელოვნად მოიმატოს მაღალხარისხოვანი რძის მიყოდებამ, კარგად ნასვენი პირუტყვის ჩაბარებამ და სხვ. ამას ხელს უწყობს მეურნეობებსა და გადამამუშავებელ საწარმოებს შორის პირდაპირი კავშირის განვითარება, პროდუქციის მიღება უშუალოდ მისი წარმოების ადგილებში. მაგრამ საქმისადმი ამგვარი მიდგომა ჯერ კიდევ ყველგან როდი გამხდარა წესიერებრივი მოვლენა. მაგალითად, წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წლეულს ექვს თვეში სახელმწიფოს 2417 ტონა მეორე ხარისხის რძე მიაყიდეს, ხოლო თვარა წყაროს ფერმის მუშაკებმა მიერ ჩაბარებული რძის მეოთხედზე მეტი (1249) ტონა უხარისხოა. ამ პერიოდში შარშანდელთან შედარებით ჩაბარებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო წონა შეამცირეს ხელვაჩაურის, გალის, ახალციხის და ბოლნისის რაიონების მეურნეობებმა. ეს დანაკარგები შეუწყნარებელია. შესაბამისმა პარტიულმა კომიტეტებმა, აგროსამრეწველო გაერთიანებებმა საგანგებო კონტროლი უნდა დაუწესონ პირუტყვის მოვლა-პატრონობას, მიაღწიონ საკვების რაციონალურ გამოყენებას, სანიტარიული ნორმების დაცვას, მაცივრების ეფექტიან მუშაობას.

მომხმარებელს ბევრი სამართლიანი პრეტენზია აქვს მაღაზიებში გამოტანილი მდარეხარისხიანი ხილეულისა გამო. ამის მიზეზი ხანლოიმრივ ის არის, რომ ჯერ კიდევ შეფერხებებით, შეუთანხმებლად მუშაობენ იმ ჯაჭვის რგოლები, რომელიც მინდორსა თუ ფერმას მომხმარებელთან აკავშირებს, და კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ნაკლებად სარგებლობენ ბაზარში თავისუფალი გასვლის უფლებით.

დღეს, როცა საუბარია სოფლის პროდუქციის ღირსებაზე, პრობლემა უფრო ფართოდ, მრავალი ორგანიზაციული და იდეოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებით უნდა განვიხილოთ. ამ საქმეში წარმატება, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია მიწათმოქმედების კულტურის, მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაობის ეფექტიანობის გაუმჯობესებაზე, რადგან ხარისხი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, წარმოების ორგანიზაციის დონის, შრომის კულტურისა და დისციპლინის განმაზოგადებელი მაჩვენებელია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზეც ხაზგასმით ითქვა, რომ ტექნოლოგიის დაბალი დონე არასაკმარის დისციპლინასთან ერთად უარყოფით გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხზე.

მართლაც, განა შეიძლება უბადო ხილს მოველოდეთ იმ ბაღიდან, სადაც აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელება ხელშეშეებულია და ამას ხელმძღვანელები და სპეციალისტები შეგეუებიან?

ამგვარ გულარხეინობას კი რესპუბლიკის ბევრ მეურნეობაში იჩენენ; ივიწყებენ, რომ უხარისხო პროდუქციის წარმოების აღკვეთის თავიდათავია ცალკეული სამუშაოების უზადო შესრულება. ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებას, შრომის შედეგების ზუსტ შეფასებას დიდად უწყობს ხელს აგროსანდარტების უფართოდ დანერგვა, რასაც ჩვენში ჯერჯერობით ნაკლები ყურადღება ექცევა. არადა, მაღალხარისხოვანი პროდუქციისათვის დღევანდელი მოთხოვნებს ათვისება ყველას ეკალება. გამჭრიახი, კვალიფიციური მუშაკი უნდა გახდეს თითოეული მწყანლე-მოსავლელი, მეეხოველე, რადგან ტექნიკა, ტექნოლოგია და შრომის მეთოდები განუწყვეტლივ იხვეწება, რაც გუშინ მოწინავედ ითვლებოდა, დღეს უკვე ყვალგასულია. ამიტომ, ბუნებრივია, ყველა დოკუმენტის შემქმნელს ბეჯითი და ყოველდღიური სწავლა, ცოდნისა და ოსტატობის სრულყოფა, თავისი კვალიფიკაციის ამაღლება სჭირდება, რათა ცხოვრებას არ ჩამორჩეს. ამას ახლა, შრომითი კოლექტივების სამეურნეო ანგარიშის, თვითანაზღაურებისა და თვითფინანსების პირობებში მუშაობის დროს, პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან ხარისხის გაუმჯობესება მრავალმხრივ მომგებიანია, მახალების, შრომითი და ფინანსური რესურსების ეკონომიის თავისებური წყაროა.

სოფლად ახლა მოსავლის დაბინავების ცხარე დღეებია. ნაკლები ჯაფა როდი ადგათ იალაღებზე გასულ მეცხოველეებს. აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელები იღწვნან იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავს.

ამ პატრიოტულ გადაწყვეტილებას ხორცს ვერ შეასხამს გულგრილი ხელი, ცივი გული. დიდი ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის მიღწევა საქმის გულშემატკივარი, მომკითხველი, ნუნისმკეთებლობისა და უყირაობისადმი შეურიგებელი ადამიანების ხვედრია. ასეთ ადამიანებს კი ნახალისება, ყოველმხრივ ხელშეწყობა უნდათ, რადგან ეს კარგად იქ მუშაობენ, სადაც ყველა საამისო პირობა არსებობს. ამიტომ ხარისხის მაჩვენებლები პირდაპირ უნდა განსაზღვრავდნენ ეკონომიკური სტიმულირების ფონდების მოცულობას. ნუნიანი პროდუქციისათვის კი პასუხი უნდა აგონ როგორც უშუალოდ მისმა შემქმნელებმა, ისე წარმოების ორგანიზატორებმა. ისინი თავიანთი პროდუქციისათვის მთელ პასუხისმგებლობას უნდა კისრულობდნენ.

გულითადი მილოცვა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საბჭოთა ხალხის სახელით მიულოცეს ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციურ საბჭოს, მთავრობას, მთელ ავღანელ ხალხს ეროვნული დღესასწაული — დამოუკიდებლობის აღდგენის დღე.

ამხანაგების მ. ს. გორბაჩოვის, ა. ა. გრომიკოს, ნ. ი. რიჟკოვისადმი გამოგზავნილ ავღანელ ხელმძღვანელთა სიპასუხო დეპეშაში გამოთქმულია გულითადი მადლობა ეროვნული დღესასწაულის გამო გულთბილი მილოცვისათვის. (საკდისი).

თგიდისელების სუფრაზე

გეგმაზე მეტის — 8.000 ტონა ბოსტნეულის მიწოდება იკისრეს საქართველოს დედაქალაქის სავაჭრო ცენტრში მცხეთის რაიონის ნატახტრის საცდელ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა.

სურათზე: მოწინავე მებოსტნე ავრონომი ნელი ჯანიერაშვილი.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ბავშვთა სახლებს — შეუნელებელი ყურადღება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ჩვენ ბავშვთა სახლებში, საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში ობლებისა და უპატრონოდ დარჩენილი ბავშვების აღზრდის, სწავლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა ბოლო წლებში გარკვეული მუშაობა გაუწიეს ამ დადგენილების შესასრულებლად. კერძოდ, განხორციელდა საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში, ჩვილ ბავშვთა სახლებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, ბავშვების მოვლის, სწავლების, აღზრდისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუჯობესების მთელი რიგი ღონისძიებანი.

ამავე დროს დადგენილების მოთხოვნათა პრაქტიკული რეალიზაცია მოკლებულია სთანადო სიმტკიცესა და პასუხისმგებლობას. ამის გამო ამ კატეგორიის ბავშვთა დაწესებულებების საქმიანობაში ძირეული გარდატეხა არ მომხდარა.

ცალკეული ბავშვთა სახლებისა და სკოლა-ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა ჯერ კიდევ უთრესად არადამაკმაყოფილებელია, არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს. ზოგიერთი მთგანი (ლენინგორისა და ქუთთაის საბავშვო სახლები) დაძველებულ, მოუმარჯვებელ შენობებშია მოთავსებული.

საბავშო დაწესებულებების უმრავლესობის (ბათუმის, ბახინჯაურის, სურამის ბავშვთა სახლები, თელავისა და თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატები) შენობები საჭიროებს სასწრაფო კაპიტალურ რემონტსა და შესაბამის რეკონსტრუქციას. მთელი რიგი წლების მანძილზე მშენებელთა მიზეზით უაღრესად ნელი ტემპით შენდება ქუთთაის ბავშვთა სახლი.

არ შესრულებულა დადგენილების ის ნაწილიც, რომელიც ითვალისწინებდა, რომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი 1987 წელს გადაეცათ საექსპლოატაციოდ. არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე ლენინგორისა და თბილისის საბავშვო სახლების მშენებლობის ტემპი.

ბევრი საბავშვო სახლისა და სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა საზოგადოებრივი კვება არადამაკმაყოფილებელია და აღმაშფოთებლად ეწინააღმდეგება სახალხო განათლების რეფორმის ამოცანებსა და გარდაქმნის მოთხოვნებს. რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრო, ცეკავშირის გამგეობა ვერ უზრუნველყოფენ სათანადო ორგანიზატორულ მუშაობას ადგილებზე ბავშვების შეწონასწორებული კვების მოწესრიგებისათვის.

სუსტად წარმოებს აღსაზრდელთა შორის სამკურნალო-გამჯანსაღებელი მუშაობა. რეფორმის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესის ორგანიზაცია მთელ რიგ სკოლა ინტერნატებსა (კოჯრის, თეთრი წყაროს, ყაზბეგის) და სკოლებში, სადაც სწავლობენ საბავშვო სახლების აღსაზრდელები. სახალხო განათლების ორგანოები სათანადო მომთხოვნელობას ვერ იჩენენ ამ კატეგორიის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სამბავშვო დაწესებულებების ხელმძღვანელებისადმი ცოდნის ხარისხისათვის, ბავშვთა კოლექტივებში ჯანსაღი მორალურ-ზნეობრივი ატმოსფეროს შექმნისათვის. სერიოზული დარღვევები იყო ამ თვალსაზრისით ბახინჯაურის საბავშვო სახლში.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ ორგანიზაციათა უმრავლესობის საქმიანობა, რომლებიც ბავშვთა სახლებს შეფობენ (ცხინვალის მეფრინველეობის ფაბრიკა, დირექტორი — სკკპ წევრი ამხ. ლ. გ. ურუშაძე, ცხინვალის ტრიკოტაჟის საცალის ფაბრიკა, დირექტორი — სკკპ წევრი ამხ. დ. პ. ოსტაევი, „საქმთავარენერგოს" ყაზბეგის ელექტროქსელის საწარმო, უფროსი — სკკპ წევრი ამხ. მ. დ. შეყლაშვილი, მახინჯაურის მეცხტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა, დირექტორი — სკკპ წევრი ამხ. მ. ა. ახალაძე და სხვები) მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ ზოგჯერ ეწვევიან მათ, რაც შეეხება დახმარებას, მას ჯერ არ შეუძენია სისტემატური და მიზანმიმართული ხასიათი.

ცალკეული პარტიული კომიტეტები (ბათუმის საქალაქო კომიტეტი, ცხინვალის, ხელვაჩაურის რაიონული კომიტეტები), გარდაბნის, თელავის, ხელვაჩაურის რაიონული საბჭოების აღმასკომები ბის გეგმების პროექტებსა და ბიუჯეტში გამოიყოს შესაბამისი სახსრები, მატერიალური რესურსები და ხელფასის ფონდი ამ კატეგორიის ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის.

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტრომ (ამხ. დ. ვ. მანჯგალაძე), „საქაგრომშენმა" (ამხ. ი. ა. ხარატიშვილი) განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა დროულად და ხარისხიანად დამთავრდეს ამ კატეგორიის ობიექტების სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოები.

საქართველოს აღკაკ ცენტრალურმა კომიტეტმა (ამხ. ჯ. ვ. მარგველიძე), ადგილობრივმა კომკავშირულმა ორგანებმა ხელი უნდა შეუწყონ, რომ აღსაზრდელებს ჩამოუყალიბდეთ შეგნებული დისციპლინა, ქცევისა და მოქალაქეობრივობის მაღალი კულტურა, იქტიურად აზიარონ ბავშვები მშენიერების სამყაროს, განავითარონ მათი შემოქმედებითი გატაცებანი და ნიჭი.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა შესაბამის საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებთან ერთად უნდა განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი ბავშვთა სახლებისა და სხვა სკოლა-ინტერნატების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ბავშვთა სახლებში, სკოლა-ინტერნატებსა და ჩვილ ბავშვთა სახლებში საქმის ვითარებისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ პარტიული კომიტეტების პირველ მდივნებსა და მესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს.

გადაწყდა, 1987 წლის სექტემბერში მოწყოს რესპუბლიკური თათბირი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, ყველა დაინტერესებული სამინისტროს, უწყებისა და ორგანიზაციის მონაწილეობით, ამასთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიული კონტროლის კომისიამ და რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა წინასწარ უნდა შეისწავლონ სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების ფაქტობრივი საქმის ვითარება.

რესპუბლიკურ გაზეთებს, საქართველოს სახტელერადიოს, საქინფორმს წინადადება მიეცათ ფართოდ გააშუქონ ბავშვთა სახლების, სკოლა-ინტერნატების, ჩვილ ბავშვთა სახლების მუშაობა, პროპაგანდა გაუწიონ მათი საქმიანობის დადებითს გამოცდილებას, იქტიურად შეუწყონ ხელი ამ კატეგორიის საბავშვო დაწესებულებების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრას. (საქინფორმი).

„კომუნისტის" საგუშაგო

47.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლისათვის იბრძვიან. ეს შარშანდელ ვალდებულებაზე 300 ტონით მეტია. არის ვალდებულების შესრულების რეალური შესაძლებლობა. ამას ადასტურებს კარგად მოვლილი ჩაის ბუჩქები. შედეგიც კარგია. ნასათუთევმა პლანტაციებმა ფოთოლი უხვად მოისხა. ამაზე მიგვანიშნებს ოპერატიული მონაცემები, რომლებიც გვაუწყებს, რომ სეზონის დაწყებიდან ქობულეთელებმა შარშანდელთან შედარებით მოკრიფეს 9.549 ტონით მეტი ნედლეული.

ბობოყვათის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ღადიშვილი ხელმძღვანელობს, მრავალდარგოვანია. აქ ჩაი და ციტრუსებია შემოსავლის ძირითადი წყარო. კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ა. ვერულიძემ და მთავარმა აგრონომმა ტ. კირჩხელმა გვითხრეს, რომ წლეულს ბობოყვათელ მეჩაიეთა გარჯა იმიტომაც არის შესაქები, რომ მათ მიერ მოკრეფილი ჩაის ფოთლის 82 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ნაყოფიერად შრომობენ მესამე და მეოთხე საიჯარო ბრიგადები (ხელმძღვანელები ნ. მახარაძე, და ზ. სურმანიძე), რომლებმაც ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმადავალებები შესაბამისად 60,8 და 54,7 პროცენტით შეასრულეს. მაგრამ რიგითი ბრიგადების წარმატება საქმეს ვერ შველის; ჩაი არის, კრეფის ტემპი კი ჯერ კიდევ დაბალია კოლმეურნეობაში, და იგი უნდა გაძლიერდეს.

ხუცუბნის კოლმეურნეობას 4.170 ტონა ჩაის ფოთოლი აქვს მოსაკრეფი. ყოჩაღობენ ხუცუბნელი მეჩაიეები, რომლებმაც შარშანდელ დონეს 1.070 ტონით გადაამტეს.

ტემპის გაძლიერება განსაკუთრებით მართებთ ლეღვას კოლმეურნეობისა და ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეებს, რომლებსაც წლიური გეგმა-დავალება შესაბამისად შესრულებული აქვთ 49 და 38 პროცენტით.

დაგვის კოლმეურნეობამ წლეულს ვალდებულებით 2.275 ტონა ჩაის ნედლეული უნდა დაამზადოს. წლიური (გეგმა-დავალების შესრულება რაიონის მაჩვენებლებზე 6 პროცენტით მეტია. მაგრამ ხარისხისათვის ზურუნვა ზოგიერთ საწარმოო ბრიგადაში ნაკლებად იგრძნობა.

ახლა დრო ძვირად ფასობს. აგვისტო ჩაის ფოთლის კრეფის გადამწყვეტი თვეა. სახელოვანმა ქობულეთელმა მეჩაიეებმა ყველაფერი უნდა იღონონ არა მარტო აგვისტოს, არამედ წლის გეგმა-ვალდებულების შესასრულებლად, რაოდენობისთან ერთად მისი ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ბ. ნოდია.

„კომუნისტის" სპეც. კორ.

ჩაი — 87

აქტები აღაპარაკდნენ

უკონდიციო და უხარისხო ნედლეულს ფაბრიკა არ გადაამუშავებს

ავღუბის ფაბრიკა. არის ასეთი საწარმო ქობულეთის რაიონში. იგი ერთ-ერთი საჩვენებელია. ფაბრიკაში შესვლისთანავე შეინიშნება, რომ აქ კვების პროდუქტი მზადდება. სისუფთავე და წესრიგია ყოველთვის. საწარმო ამუშავებს მიმდებარე სოფლების — ჩაისუბნის, ქვედა ულიანოვკის, ქვედა აჭყეის კოლმეურნეობებისა და საკარმიდამო ნაკვეთებში მოკრეფილ ნედლეულს, სულ — 4 ათას ტონას. აჭყეელთა ნახელავი ჩაი მოსწონთ მოსკოვში, რიაზანში, ოდესაში.

ფაბრიკის ახალგაზრდული კოლექტივი ენერგიულად შრომობს. ისინი სხვებსაც მოუწოდებენ გარდაქმნის კვალობაზე. გულიანად იმუშაონ. მათ ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი, რომ ხარისხოვანი ჩაის გამოშვება ნამდვილად რესპუბლიკის პრესტიჟის საქმეა. საქართველოში ყოფნის დროს ი. ლიგაჩოვმა თქვა: „...თითოეულმა, ვინც დაკავშირებულია თვით რესპუბლიკაში ქართული ჩაის ბედთან, ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა აღადგინოს დარგის ავტორიტეტი. მიაღწევინოს მას ახალი უფრო მაღალი მაჩვენებლები — როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი".

— ეს სიტყვები ყველას გვახსოვს, — გვითხრა ფაბრიკის დირექტორმა რ. პატარაიამ, — ამიტომაც ყოველ ღონეს ვხმარობთ, ვიყოთ დროის მოთხოვნის სიმაღლეზე. უწინარესად, ამ საქმეში წესრიგი თვით ფაბრიკაში უნდა დამყარდეს, ხოლო შემდეგ ნედლეულის ჩამბარებლებს შორის. გარდაქმნა მარტო ერთი დღის საქმე როდია, მას გარკვეული დრო სჭირდება, მაგრამ სადაც იგი დღესვე შეიძლება განხორციელდეს, სახვალიოდ არ უნდა გადავდოთ. ასე დავაყენეთ ფაბრიკის კოლექტივის მუშაობა, ამასვე ვთხოვთ ჩვენს პარტნიორებს, მაგრამ ყველა იოლად როდი გარდაქმნება, მოზიზინენიც ბევრნი არიან.

მოვითხოვეთ ნედლეულის ვარგისიანობის, მისი ხარისხის გამო შედგენილი აქტები. უხერხული დუმილი ჩამოვარდა. მთლად საამკარაოზე არ უნდოდათ გამოეყვანათ თავიანთი პარტნიორები. უფროს აგრონომს ტ. კირჩხელს მოაქვს იგი და... აქტებიც ალაპარაკდნენ.

გამოირკვა, რომ ფაბრიკა დღეინადაგ ზრუნავს ხარისხის გასაუმჯობესებლად. საწარმოს მუშაკები ხშირად ჩამბარებლების პლანტაციებს ეწვევიან ხოლმე, ათვალიერებენ მოსაკრეფ ბუჩქებს და მიუთითებენ კიდეც, რომ 2-3 დღეში ესა თუ ის პლანტაცია მოსაკრეფია და დაყოვნება ფოთოლს გაუხუნებს, დანაკარგები იმატებს. მაგრამ ამ შენიშვნებზე ყველა დროულად როდი რეაგირებს. ამიტომაც ხშირად დამზადებულ ნედლეულში დიდი რაოდენობით არის უხეში, მოუხეშო ფოთლები და სხვა მინარევებიც, რის გამოც დროულად გადაფრთხილეს ჩამბარებლები, რათა არ დაერღვიათ კრეფისა და ტრანსპორტირების წესები. მაგრამ მარტო ივლისში მომხმარებლებს ამ მიზეზით 31 ავტომანქანა ნედლეული დუბრუნდათ (დაახლოებით 60 ტონა ჩაის ფოთოლი).

ფაბრიკის ხარისხის ჯგუფის წევრებმა სათანადო აქტის შედგენით ჩაისუბნის კოლმეურნეობის მიერ 29 ივლისს ნაკრეფი 640 კილოგრამი ჩაის ფოთოლი გადასარჩევად უკან დუბრუნეს მეექვსე საწარმოო ბრიგადას. ქვედა აჭყეის კოლმეურნეობის მეჩაიეთა მიერ მოკრეფილი 1.300 კილოგრამი ნედლეული სახელმწიფო სტანდარტს არ შეესაბამება და ისიც გადასარჩევად დუბრუნეს. ასეთივე ბედი ეწია ქვედა ულიანოვკის კოლმეურნეობაში დამზადებულ 2.360 კილოგრამ ნედლეულს. როგორც აღვნიშნეთ, მოვიყვანეთ ფაბრიკაში მხოლოდ ივლისში მიტანილი ნედლეულის შესახებ აქტების ამონაწერები.

ზემოთ მოვიყვანეთ ჩაისუბნის კოლმეურნეობის მეექვსე ბრიგადის მიერ ნაკრეფი ჩაის ფოთლის გადასარჩევად უკან დაბრუნების ფაქტი. ახლა, რამდენიმე სიტყვა კოლმეურნეობის საიუბილეო წლის ვალდებულებებისა და შესრულების მიმდინარეობის შესახებ! წლეულს სულ დამზადებულია 1.160 ტონა ნედლეული. 30 ივლისისათვის წლიური გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 36 პროცენტით. ეს რაიონულ მაჩვენებლებზე 19 პროცენტით ნაკლებია. და ამ დროს განა მოსათმენია ნედლეულის უხარისხო კრეფა ან მისი დაზიანება? გადასარჩევად დაბრუნებული ნედლეული კი გადამწვარი იყო; ამის მიზეზი ჩვენთვის გაურკვეველია. რადგანაც აქტში ამაზე არაფერია ნათქვამი.

ქვედა ულიანოვკის კოლმეურნეობას შემოწმების დღისათვის ჩაის ფოთლის კრეფის წლიური საგეგმო დავალება 64 პროცენტით ჰქონდა შესრულებული. საინტერესოა. იერიმბანა რად სჭირდებათ ქვედაულიანოვკელ და ქვედაჭყეველ კოლმეურნეობებს, როცა წლიური გეგმა-დავალების შესრულების საქმე საფრთხეში არ არის.

აჭყეის ჩაის ფაბრიკის კარგი მუშაობა საგანგებოდ იმიტომაც მოვიყვანეთ, რომ, საერთოდ, რაიონში, განსაკუთრებით წლეულს, იგრძნობა მაღალი ორგანიზებულობა, რათა საიუბილეო წლის გეგმა-ვალდებულება უფუოდ შესრულდეს. წლეულს სახელოვანი მეჩაიეები გეგმა-ვალდებულებით 47.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლისათვის იბრძვიან. ეს შარშანდელ ვალდებულებაზე 300 ტონით მეტია. არის ვალდებულების შესრულების რეალური შესაძლებლობა. ამას ადასტურებს კარგად მოვლილი ჩაის ბუჩქები. შედეგიც კარგია. ნასათუთევმა პლანტაციებმა ფოთოლი უხვად მოისხა. ამაზე მიგვანიშნებს ოპერატიული მონაცემები, რომლებიც გვაუწყებს, რომ სეზონის დაწყებიდან ქობულეთელებმა შარშანდელთან შედარებით მოკრიფეს 9.549 ტონით მეტი ნედლეული.

ბობოყვათის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ღადიშვილი ხელმძღვანელობს, მრავალდარგოვანია. აქ ჩაი და ციტრუსებია შემოსავლის ძირითადი წყარო. კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ა. ვერულიძემ და მთავარმა აგრონომმა ტ. კირჩხელმა გვითხრეს, რომ წლეულს ბობოყვათელ მეჩაიეთა გარჯა იმიტომაც არის შესაქები, რომ მათ მიერ მოკრეფილი ჩაის ფოთლის 82 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ნაყოფიერად შრომობენ მესამე და მეოთხე საიჯარო ბრიგადები (ხელმძღვანელები ნ. მახარაძე, და ზ. სურმანიძე), რომლებმაც ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა-დავალებები შესაბამისად 60,8 და 54,7 პროცენტით შეასრულეს. მაგრამ რიგითი ბრიგადების წარმატება საქმეს ვერ შველის; ჩაი არის, კრეფის ტემპი კი ჯერ კიდევ დაბალია კოლმეურნეობაში, და იგი უნდა გაძლიერდეს.

ხუცუბნის კოლმეურნეობას 4.170 ტონა ჩაის ფოთოლი აქვს მოსაკრეფი. ყოჩაღობენ ხუცუბნელი მეჩაიეები, რომლებმაც შარშანდელ დონეს 1.070 ტონით გადაამტეს.

ტემპის გაძლიერება განსაკუთრებით მართებთ ლეღვას კოლმეურნეობისა და ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეებს, რომლებსაც წლიური გეგმა-დავალება შესაბამისად შესრულებული აქვთ 49 და 38 პროცენტით.

დაგვის კოლმეურნეობამ წლეულს ვალდებულებით 2.275 ტონა ჩაის ნედლეული უნდა დაამზადოს. წლიური (გეგმა-დავალების შესრულება რაიონის მაჩვენებლებზე 6 პროცენტით მეტია. მაგრამ ხარისხისათვის ზურუნვა ზოგიერთ საწარმოო ბრიგადაში ნაკლებად იგრძნობა.

ახლა დრო ძვირად ფასობს. აგვისტო ჩაის ფოთლის კრეფის გადამწყვეტი თვეა. სახელოვანმა ქობულეთელმა მეჩაიეებმა ყველაფერი უნდა იღონონ არა მარტო აგვისტოს, არამედ წლის გეგმა-ვალდებულების შესასრულებლად, რაოდენობისთან ერთად მისი ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ბ. ნოდია.

„კომუნისტის" სპეც. კორ.

სამგზავრო მატარებელი სიმაღლეს იპყრობს

მარაბდა-ახალქალაქის მაგისტრალზე მშენებლებმა და კრანიგზელებმა აღნიშნეს უკანასკნელი ზეიმი, რომლის შემდეგაც დაიწყება სადაგი დღეების ათვლა, თუმცა არც ისეი უნდა იყოს იოლი, — ახალქალაქში მოვიდა პირველი სამგზავრო მატარებელი. ამ მაღალმთიანე გზის მშენებლობას წლების მანძილზე პრესა და ტელევიზია ისე დაწვრილებით აშუქებდნენ, რომ მკითხველმა, იქნებ, უკანასკნელი მოვლენები არც კი მიიჩნიოს მნიშვნელოვან ახალ ამბად. მაგრამ ახალქალაქში ვაგზლის ლამაზ შენობასთან მატარებლის შესახვედრად თითქმის მთელი ქალაქი შეიკრიბა. ხალხი საკუთარი ინიციატივით მოვიდა, რათა ერთმანეთისათვის, დღესასწაული მილოცათ შინაურულად, ყოველგვარი სიტყვებისა და ყვავილების გარეშე.

მგზავრალის უნიკალურობა მისი სიგრძე როდია — იგი სულ 160 კილომეტრია. მგზავრალი ისეთ სიმაღლეზეა გაყვანილი — ზღვის დონიდან 2200 მეტრზე, რომ უეცრად სუნთქვა შეგეკვრება, ხოლო როგორც მშენებლები და ექსპლოატაციის მუშაკები ამბობენ, გზის პროფილი ურთულესია. თანაც

მეტი დახმარება მოსახლეობას მეცხოველეობისათვის საკვების დამზადებაში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა რესპუბლიკის მოსახლეობის კუთვნილი პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებათა საკითხი. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ 97,6 ათასი ჰექტარი სათიბისა და საძოვრის სახნავად გამოყენებამ, მრავალწლოვანი ნერგების ჩაყრამ, სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების მშენებლობამ, ტყეებში ნარგავებისაგან თავისუფალ ფართობებზე პირუტყვის ძოვების შეზღუდვამ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში უკიდურესად გაამწვავა კოლმეურნეებისა და მუშა-მოსამსახურეთა პირუტყვისათვის საკვების დამზადების საკითხი, რაც მათს სამართლიან საყვედურს იწვევს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის მიერ წელს მაისში მოწყობილმა შემოწმებამ გამოავლინა მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზები. დადგინდა, რომ ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სატყეო მეურნეობები ჯეროვნად არ ეხმარებიან მოსახლეობას საკვებით პირუტყვის უზრუნველყოფაში, რის გამოც ცალკეულ რაიონებში მნიშვნელოვნად შემცირდა მისი სულადობა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მოცულობა. 1987 წლის 1 იანვრისათვის 1985 წლის პირველ იანვართან შედარებით მოსახლეობის საქონლის სულადობა 23,9 ათასით შემცირდა, რის შედეგადაც სოფლად მცხოვრები 534 ათასი ოჯახიდან 35 პროცენტს საერთოდ არ ჰყავდა საქონელი, 41 პროცენტს — ძროხა, 50 პროცენტს — ღორი, 80 პროცენტს — ცხვარი და თხა.

კიდევ უფრო არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ცალკეულ რაიონებში, კერძოდ, გურჯაანის, სიღნაღის, თელავის, ყვარლის, მარნეულის, მცხეთის, ლაგოდეხის, ახმეტის, საგარეჯოს, წალენჯიხისა და სხვა რაიონებში.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების უმრავლესობამ ვერ შეასრულეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის დავალება, რომელიც ითვალისწინებდა, რომ სახელმწიფო სატყეო ფონდის ტყით დაუფარავი მიწები გაენაწილებინათ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს შორის სათიბებად და საძოვრად ინტენსიური გამოყენებისათვის.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ხშირად უპასუხისმგებლობას იჩენენ ეროზირებული ფართობების გატყიანების დროს. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებები და სატყეო მეურნეობები სუსტად აკონტროლებენ მათს საქმიანობას ამ მიმართულებით. არის შემთხვევები, როცა გატყიანებისათვის ირჩევენ სახნავებსა და სოფლის გარშემო საძოვრებს, რომელსაც ნაკლებად ემუქრება ეროზიის საშიშროება, რაც მცხოვრებთ საუალებას ართმევს გამოიყენონ ეს ფართობები საკუთარი პირუტყვის საძოვრებად, ამავე დროს ეროზია ანგრევს გატყიანებულ ფართობებს და, მაშასადამე, ამაოდ იხარჯება სახსრები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს შეიმუშაონ და განახორციელონ შემოწმებით გამოვლენილი დარღვევებისა და ნაკლოვანებების ლიკვიდაციისათვის გამიზნული კონკრეტული ღონისძიებანი, მისცენ მათ პრინციპული შეფასება და მიიღონ რადიკალური ზომები შექმნილი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვამ უნდა გადასინჯოს 1987 წლისა და შემდგომი წლების გეგმით გათვალისწინებული ეროზირებული ფართობების გატყიანების პროექტები, გატყიანებისათვის ამოირჩიოს მხოლოდ ციცაბო ფერდობები, რომლებიც ძლიერ არის ეროზირებული, განსაზღვროს რაიონების მიხედვით ტყის ნარგავების სახეობები, რომლებიც უნდა გაშენდეს ეროზირებულ ფართობებზე, უზრუნველყოს მცენარეთა მაქსიმალური მოვლა.

1988 წლიდან ეროზირებული ფართობების გატყიანება უნდა აწარმოონ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სამეურნეობათშორისო საწარმოებმა და საკოლმეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობებმა.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო ხუთწლიდის დამლევამდე უნდა დაეხმაროს და ნერგები გამოუყოს აღნიშნულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წინადადება მიეცათ 1988 წელს და მომდევნო წლებში შეიტანონ ცვლილებები ეროზირებული ფართობების გატყიანების გეგმებში, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს შეუკვეთონ სახელმწიფო ბიუჯეტით ამ მიზნებისათვის გათვალისწინებული საოპერაციო ხარჯები და სახსრები გადასცენ საქართველოს სსრ სახაგრომრეწვს.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს დაევალა დროებით შეზღუდოს ტყის კულტურების გაშენება სახელმწიფო სატყეო ფონდის იმ ფართობებზე, რომლებსაც იყენებენ მოსახლეობის კუთვნილი პირუტყვის საძოვრებად; წლის დამლევამდე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაუბრუნოს ყველა გატყიანებული ეროზირებული ფართობი.

მინისტრთა საბჭომ განსაზღვრა რესპუბლიკის მოსახლეობის კუთვნილი პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის სხვა კონკრეტული ღონისძიებანიც.

(საქინფორმი).

80-იანი წლების კომუნისტები

მოვალეობა და პასუხისმგებლობა

პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, გარდაქმნის საბოლოო შედეგებს, პარტიული ორგანიზაციების როლის გაზრდას.

საკვლევია, პიროვნების დამოკიდებულება, საქმისადმი, პასუხისმგებლობა — აი, ამაზე მსჯელობდნენ ფარცხმელი კომუნისტები ერთ-ერთ ღია პარტიულ კრებაზე. იმ დღეს მათი ბჭობის საგანი ჩაის ხარისხი იყო. კოლმეურნეები დიდხანს კამათობდნენ ამის თაობაზე. გაიხსენეს ცნობილი ზუგდიდელი მეჩაიის, სოციალისტური შრომის გმირის თამარ უუფუნიას მოწოდება: „დავუბრუნოთ ქართულ ჩაის ღირსება!“, და გულისტკივილი გამოთქვეს ჩაის ბუჩქებისადმი უსულგულო დამოკიდებულების გამო.

მართა პარტორგანიზაციის მდივანს.

— დეიდა ლიდა, ხალხს თქვენ უნდიხართ, კომუნისტები კვლავ თქვენ გასახელებენ, დღევანდელი პრობლემური საკითხების გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პარტორგანიზაციის საქმიანობას, და თუ ძალა შეგწევთ, უარს ნუ იტყვით, კვლავ უხელმძღვანელეთ პარტიულ ორგანიზაციას.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გადაწყვეტილი ჰქონდა სოფლის ძალებით ახალი კაპიტალური ფერმის აშენება. საკითხი პარტორგანიზაციის ღია კრებაზე გაიტანეს. ყველამ მოიწონა, კომუნისტებს — კომკავშირელები, მათ კი მთელი სოფელი ამოუდგა მხარში. როცა ხალხის ასეთ ერთსულოვან შრომას სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან შინ შვებულებით ჩამოსული კომკავშირელი ონისე ახალაძე შეესწრო, დასვენება რას მიქვიაო, და იმანაც ხელი გამოიღო. ერთსულოვნებამ თავისი გაიტანა: შარშან, 28 ივლისს ჩაეყარა საძირკველი შენობას და წლის დამლევამდე უკვე მზად იყო 200-ადგილიანი კაპიტალური ბოსელი, სასილოსე კოშკები, მომსახურე პერსონალისათვის კი კეთილმოწყობილი ბინა და ბანაო.

მიუხედავად ასეთი შემართებისა, სოფლიდან ახალგაზრდების დენადობა მაინც იგრძნობა. პარტბიუროს სხდომაზე ბევრჯერ განიხილეს ეს საკითხი და ნათელი გახდა, რომ საჭირო იყო უფრო გაბედული მოქმედება.

ლ. ცინცაძემ სოფლის მოწინავე ახალგაზრდობის მეშვეობით სცადა ამ საკითხის მოგვარება. ბეჭითს ქებით იხსენიებდა, ზარმაცსა და უქნარას — საჯაროდ კიცხავდა. იგი, როგორც პარტიული ორგანიზაციის მდივანი, თითეული ადამიანის გულთან ახლოს მდგიოდა. ამ გზით ბევრი ახალგაზრდა შემოაბრუნა სოფლისაკენ. და დღეს რომ უფროსი თაობის გვერდით ახალგაზრდობაც ტრიალებს და ყველა რგოლში თუ უბანზე გადამწყვეტ სიტყვას ამბობს, მისი ღვაწლიც არის.

სოფელში ახალგაზრდების დაკვიდრებისა და შენარჩუნების მიზნით პარტორგანიზაციას, კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად, გადაწყვეტილი აქვს კომკავშირული ორგანიზაციის უშუალო მონაწილეობით სპორტული ბაზის შექმნა.

ერთი საკითხიც აწუხებთ ფარცხმელებს — ჩაის პლანტაციებში მისასვლელი გზების სივიწროვე. ეს პრობლემა, სხვებთან ერთად, პირველადი პარტორგანიზაციის ერთ-ერთ ძირითად გადასაწყვეტ საკითხად რჩება.

შარშან, სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის ფარცხმის კოლმეურნეობა საქართველოს სსრ სახალხო მრეწველობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა [illegible] რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, დიპლომითა და ფულადი პრემიით დაჯილდოდა. წელიწადს ამ ჯილდოს ახალ-ახალი წარმატებებით უპასუხებენ მშრომელები — ე. სიხარულიძე, ს. დოლიძე, თ. მჟავია, ნ. მეფარიშვილი, მიხ. ჯავახიძე, ეთ. მეგვინა, მ. ჩხეკვაძე, ბ. მეფარიშვილი და სხვანი. მომავალ ყეგმებზე წინასწარ არის ამბობენ: როცა შევასრულებთ, ნათელი იქნებაო.

პიონერები, კომკავშირელები, სოფლის ყველა მშრომელი ზმირად იკრიბებიან ხანის უბანში, აქ შინმოუსვლელთა ხეივანია, რომელიც აქაურმა მკვიდრმა, ეტერანმა კომუნისტმა ავთანდილ ცინცაძემ გაიშენა. შემდეგ სტენდი და ობელისკი აიგო.

როცა სოფლის საკეთილზე ლაპარაკობს, გამხდარი, თმაჭაღარა ქალი — დეიდა ლიდა მაღლდება, თითქოს ძალა ემატებაო, დროდადრო სიამაყის გრძნობით ფაფმოზედავს ხოლმე თანამოსაუბრეს, თავსაფარს შეისწორებს და გულში ფიქრობს, ასეთია ჩემი სოფელი, ჩემი ხალხი, ჩვენი ახალგაზრდობაო.

ჭირსა შიგან გამოვლილი ქალია ლიდა ცინცაძე. ჯერ იყო და, მეეულე დაკარგა დიდ სამამულო ომში, მაგრამ ორ ვაჟიშვილს უმამობა არ აგრძნობინა. თავს დასტრიალებდა ვაქაცებისგან დაცლილ სოფელსა და ოჯახს. დაღლას არ გრძნობდა. წლების მანძილზე ბრიგადას ედგა სათავეში. ვაქაცური შემართებით შრომობდა და მოწინავეობდა ყველგან და ყოველთვის. მუხლამა ბედმა ორივე ვაჟიშვილიც გამოაცალა ხელიდან. არ შედრკა, ბედს არ დაემორჩილა, შვილიშვილების აღზრდას, მათ დაფრთიანებას დაუდგა დარაჯად.

— ჩემმა ხალხმა, ჩემმა სოფელმა გადამატანინა გაჭირვება. სინდისი, პასუხისმგებლობისა და მოვალეობის დიდი გრძნობა, მათი სიყვარული მამოქმედებს და მაძლებინებსო, — იტყვის ხოლმე იგი.

...კიდევ ერთი დღე გაილია შრომა-ჯაფაში. უკვე გვიანაა. ოთახს მაგიდის შეუფარი ანათებს. დეიდა ლიდა საწერ მაგიდას ჩაფიქრებული უზის და ხვალიშდელი დღის გასაკეთებელი საქმეების გეგმას ადგენს. სამუშაო კი..., როგორც ჩვეულებრივ ყოველდღე, ხვალისთვისაც ბევრია. ხვალ ფერმაში პარტიული კრებაა. კრება საღამოსაა დანიშნული, მანამდე კი დილით ფერმის პოლიტინფორმატორებს უნდა შეხვდეს.

ქალბატონი ლიდა ყველაფერს თანამიმდევრობით იხსენებს, იწერს და ხვალინდელი დღეც თანდათანობით იკვეთება და ნათელი ხდება, თუ რომელ მონაკვეთში რა უნდა შესრულდეს. კარგად დაგეგმილი დღე კი უკვე საქმის ნახევარს ულრის.

ცისანა სიხარულიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის კოლექტივმა პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის 7 თვის გეგმები შეასრულა. გაუმჯობესდა ამ ხნის განმავლობაში სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიც, კერძოდ, შრომის ნაყოფიერების ზრდამ 111 პროცენტი შეადგინა.

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის მრავალი დამატებითი ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიება ხორციელდება. არის იმის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ფიქრები არ გატეხენ სიტყვას. შრომითს მეტოქეობაში კარგ შედეგებს აღწევს ახალგაზრდა მჭედელი ლილი ალთუნაშვილი. იგი ყოველთვის კეთილსინდისიერად აკეთებს თავის საქმეს.

სურათზე: ლილი ალთუნაშვილი.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

სასმელება მეურნეობრივის ხელუხალი ოკრიენტაციაა

უკვე მეშვიდე თვეა რუსთავის ამწეების საშენებელი ქარხნის კოლექტივს არც ერთი რეკლამაცია და პრეტენზია არ მოუღია. სამაგიეროდ, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზარდა შიდასაქარხნო წუნი. ეს ფაქტი კარგად მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად გაძლიერდა აქ პასუხისმგებლობა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან საწარმო პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადავიდა. მისი ძირითადი პროდუქცია, როგორც ქარხნის სახელწოდება მიგვითითებს, ამწეა. გარდა ამისა, აქ ამზადებენ საგზაო და სამშენებლო მანქანების სათადარიგო ნაწილებსა და ფართო მოხმარების საგნებს. ყველაფერი ეს მომხმარებლამდე სახელმწიფო მიღები ორგანოს „ვიზით“ მიდის.

სახელმწიფო მიღების იანვრის გეგმა 99,2 პროცენტით შესრულდა. ანალოგიური მდგომარეობა განმეორდა მარტშიც, მაგრამ ექვსი თვის მონაცემებით სახელმწიფო მიღების გეგმა უკვე 100,8 პროცენტით შესრულდა. როდესაც დეკადების მიხედვით მუშაობის რიტმულობის ცხრილს გადავხედეთ, ასეთი სურათის მოწმენი გავხდით: თურმე, სახელმწიფო მიმღები ორგანო მთელი პროდუქციის 70 პროცენტს მესამე დეკადაში იღებს. ეს, ცხადია, არასასიამოვნო ფაქტია.

— რა არის საქმის ასეთი ვითარების მიზეზი? ამ კითხვით მივმართეთ სახელმწიფო მიმღები ორგანოს უფროსს რ. ხოშტარიას.

— როგორც ნახეთ, — გვითხრა მან, — მუშაობას ფაქტობრივად, თვის დამლევს ვიწყებთ. თებერვალში მაგალითად, პროდუქციის 80 პროცენტი მესამე დეკადაში მივიღეთ, აპრილსა და მაისში — 60 პროცენტი. ამის მიზეზი, უპირველესად, მაკომპლექტებელი დეტალებისა და მასალების დაგვიანებით მოწოდებაა. ჩვენს საწარმოში ამწეებისათვის მხოლოდ ლითონკონსტრუქციები მზადდება, ელექტრომოწყობილობასა და მექანიზმებს სხვა ქარხნებიდან ვღებულობთ. ჩვენი პარტნიორები, განსაკუთრებით კი ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს მოსკოვის საწარმოები, ჩვეულებრივ, მოწოდებას გვიგვიანებენ და ჩვენც იძულებული ვხდებით თვის ბოლოს დავიწყოთ იერიშობანა.

ეს, რაღა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე, და კარგ დღეში არც ჩვენ — სახელმწიფო მიმღები ორგანოს წევრებს გვაყენებს. ხანდახან, დღე ერთია და ნახევარი მითი უმთავრესია შეღებვის ტექნოლოგია. ლითონის შესაღებად მოამზადების საკითხი ამწეშენებლობაში კავშირის მასშტაბით არის მოსაგვარებელი. რუსთავის ამწესაშენებელ ქარხანაში უკვე დამტკიცებულია სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვითაც 1987-1988 წლებში საამისოდ უნდა აშენდეს სპეციალური საამქროები. აქ დამონტაჟდება მოწყობილობა, რომელიც ლითონის გაწმენდის სამუშაოებს შეასრულებს. საერთოდ კი, ხუთწლედის ბოლომდე ქარხნ-ს სამძლავრე 1,5-ჯერ და მეტად უნდა გაიზარდოს.

მტკივნეულ საკითხად რჩება შემოსული პროდუქციის ხარისხი. საწარმომ პირველ კვარტალში ეკონომიკური სანქციები გამოიყენა ცხინვალისა და წნორის მექანიკური ქარხნების წინააღმდეგ, მათ კი მდგომარეობა ოდნავ თუ გამოსწორეს.

აღსანიშნავია ის ორმხრივი ღონისძიება, რომელიც პარტიის რუსთავისა და ცხინვალის საქალაქო კომიტეტებმა განახორციელეს. მათ ამწესაშენებელ და მექანიკურ ქარხნებთან ერთად შეიმუშავეს დებულება წუნის შესამცირებლად, რამაც საგრძნობლად უნდა გააუმჯობესოს ამწის ჯიხურის ხარისხი, რომელსაც ცხინვალი აწვდის რუსთავს.

მიმდინარე წლის 6 თვის მონაცემებით, რუსთავის ამწესაშენებელი ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის გამოშვებისა და მისი სახელმწიფო მიღების გეგმები. შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა 105,6 პროცენტი შეადგინა, ხოლო მოგებამ. — 100,1 პროცენტი. ამ არცთუ ურიგო მაჩვენებლებისათვის საწარმოს კოლექტივს იოლად არ მიუღწევია. იყო ხელისშემშლელი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. ამწეშენებელთა ვალია ყველაფერი იღონონ შეუფერხებელი, გამართული მუშაობისათვის.

ნ. ლურსმანაშვილი.

არც ერთი რეკლამაცია

ზაფხულის სეზონის გაკვეთილები

— **როგორ** ცხოვრობთ, საგარეუბნო კურორტებო?

— რატომ არა გაქვთ მაღაზიაში შავი ხიზილალა?

— როდესმე გაგიგიათ, ვინმეს ხიზილალა ეკითხოს? ჰოდა, იცოდეთ: არ არის მოთხოვნა და არც შემოგვაქვს.

ასეთ ანეგდოტურ სიტუაციას წაწყდებით კოჯორის მაღაზიებში. ოღონდ შავი ხიზილალის მაგივრად იქ ფიგურირებს მწვანე ბარდა. საწყობი სავსე აქვთ, დახლები — ცარიელი. მაგრამ მართლა ეს როდი ჩრდილავს მრავალრიცხოვანი დამსვენებლების ყოფნას მთის სიგრილეში, რომელთაც აქ ზაფხულობით ბავშვები ამოჰყავთ.

უდავოა: მაგალითად, მრავალფეროვანი ასორტიმენტის რძის პროდუქტებით კოჯორი უზრუნველყოფილია, მაგრამ ბავშვებს ხომ ბოსტნეულიც, ხილიც სჭირდებათ, რაც განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდშია სასარგებლო. და თუ ჯანმრთელობის კერები ბეუფერხებლად მარაგდება ვიტამინიანი პროდუქციით, სამაგიეროდ ყოველივე ეს გაცილებით უჭირთ უსაზღვრო დამსვენებლებს. ადგილობრივი მაღაზიების იმედად ყოფნა არ შეიძლება, და ხალხიც ჩანთებით ხელში თბილისის ბაზრებისა და ხიბოსტნეულის მაღაზიებისაკენ მიემგზავრება.

საზკვება იმედებს ვერ ამართლებს. მაშ, რით მოამზადონ საოჯახო სადილი? ამ კითხვაზე პასუხს საქინფორმის კორესპონდენტები ეძიებდნენ ქსახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარესთან გ. სულავასთან ერთად. მაღაზიები გემოვნების მიხედვით გვთავაზობდნენ თევზეულს — მდინარის თუ ზღვის, მაგრამ პოტენციურ ხორცის კერძად იძულებული ვიყავით უარი გვთქვა: დახლზე მხოლოდ ძეხვი „სასადილო“ იყო. ხიბოსტნეულის მაღაზია ჩვენ მხოლოდ დაშყლეტილი პამიდვრით და მტრედის კვერცხის ოდენა კარტოფილით შეგვეხვდა. დაახლოებით ასეთივე ზომისა ჰქონდათ ქათმის კვერცხიც, თუმცა საფასური ირწმუნებოდა დიეტური, და კიდევ დამჭკნარი მწვანილი — ეს იყო და ეს.

— მაშ, რაშია საქმე?

— საერთოდ, ჩვენთან ბოსტნეულისა და ხილის საქმე ყოველთვის ასე როდია, — გვითხრა აღმასკომის თავმჯდომარემ, — მაგრამ წელს აქ არნახულად მოზღვავდა არაორგანიზებული დამსვენებელი. ამან გამოიწვია შეფერხებებიც, თანაც არა მარტო სურსათის მომარაგებაში.

მართლაც, ძალიან უჭირთ დამსვენებლებს, ერთმანეთს გატეენილი ფუღლის ქისები არა აქვთ. ზაფხულობით კოჯორში რომ ბინა იქირავო, სახლის მეპატრონეს სამნიშნა ციფრიანი თანხა უნდა გადაუხადო. მამ ფასად სტუმრები მხოლოდ თავშესაფარსა და საწოლს იღებენ. დანარჩენი კი — მაცივარი, ტელევიზორი თუ ქვაშაგები, თან უნდა იქონიონ.

ამჟამად როგორც სადაბო, ისე გარდაბნის რაიაღმასკომის ხელმძღვანელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა დასვენების პირობები გააუმჯობესონ. კერძოდ, გარდაბელებმა სპეციალურად გამოყვეს თანამშრომელი, რომელიც პერსონალურად აგებს პასუხს კოჯრის მომსახურების სფეროსათვის.

— მაგრამ ეს ღონისძიება ერთჯერადია, ამბობს გარდაბნის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ტ. ველიევი, — საგარეუბნო კურორტების პრობლემა კარდინალურ გადაწყვეტას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიქმნას იმ სახლთმფლობელთა კონკურენცია, რომლებიც ბინებს აქირავებენ, თანაც ხშირად — ძალიან ძვირად. ამ მიზნით ჩვენ განზრახული გვაქვს ამორტიზებული შენობები და ნაგებობები კაპიტალურად შევაკეთოთ ან რეკონსტრუქცია ვუყოთ, რათა დამსვენებლებს გამოადგეთ.

გარდა ამისა, ჩვენს რაიონში როგორც ცნობილია, გათვალისწინებულია შეიქმნას კრასნოდარის მხარის „ყუბანის“ ანალოგიური აგროსამრეწველო [კომპლექსი. გარდაქმნის პირობებში მას შეუძლია აშენოს საკუთარი პანსიონატები და დასასვენებელი ბაზები, და ზომიერ ფასად შესთავაზოს დამსვენებლებს. მომავალი წლიდან ჩვენთან იქნება აგრეთვე კომპლექსური ბიური მომსახურების საშუამავლო ბიური — ან სამეფო-სთან ან კოოპერაციულ საწყისებზე. იგი იკისრებს სტუმრების დაბინავებას, ბინის გამქირავებლებთან ხელშეკრულების დადებას, სხვადასხვა ინვენტარის გაქირავებას და ა. შ. ანგარიშსწორება მოხდება მხოლოდ შემნახველი სალაროს მეშვეობით, რაც საიმედოდ გადაუღობავს გზას ცალკეულ კერძო მესაკუთრეთა უშრომელ შემოსავალს. დამსვენებელთა ხილ-ბოსტნეულის პროდუქციით უკეთ მომარაგების გაუმჯობესების მიზნით გაფართოვდება საბჭოთა მეურნეობების წრე, რომლებიც კურორტებს სახელშეკრულებო ფასად შესრულებული გეგმის 30 პროცენტის ანგარიშში მოსავლის ნაწილს მიაწვდიან.

ერთი სტუკვით, პრობლემათა გადაწყვეტის გზები დასახულია. ვფიქრობ, საჭიროა ასევე მოიქცნენ მანგლისშიც, სადაც მდგომარეობა რამდენადმე უკეთესია, მაგრამ იქაც ზღაპრული სიძვირეა. ბოსტნეულის მაღაზია ჩვენი ჩასვლის დღეს დაკეტილი დაგვხვდა, ბაზარი კი ფაქტობრივად ცარიელი იყო...

— საგარეუბნო კურორტებზე საშუამავლო ბიუროების გახსნის იდეა ყურადღების ღირსია, — მხარი დაუჭირა რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ბ. ჯაფარიძემ. — განა შეძლებს, მაგალითად, აღმასკომის ერთადერთი თანამშრომელი სათანადო დონეზე უზრუნველყოს დამსვენებელთა მომსახურება კოჯორში? რასაკვირველია, ვერა, ასევე გაუძნელდებათ ჩვენს ფინინსპექტორებს სათანადო კონტროლი დაუწესონ ბინის გამქირავებლებსა და დამქირავებლებს შორის ანგარიშსწორებას. რაიონში ფინინსპექტორთა რიცხვის ოდენობა, ჩვეულებრივ, ორ-სამს არ აღემატება.

ვფიქრობთ მომავალი საგარაკო კოოპერატივის პირველსახის შემუშავებაში აქტიურად უნდა ჩაებან რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო, ვაჭრობის სამინისტრო და ცეკავშირი. თავის მხრივ ფინანსთა სამინისტროს შეუძლია ასეთი ბიუროების საფინანსო მომსახურების, საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციის ყველაზე უფრო მისაღები ფორმების გამოძებნა, ამ საკითხებში საჭირო დისციპლინის უზრუნველყოფა.

— ამჟამად კოჯორში, წყნეთში, კიკეთში, მანგლისში თერმეტი სტაციონარული პიონერთა ბანაკია, — ჩაება საუბარში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ხარატიშვილი. — ერთ ნაკადად მათ შეუძლიათ მიიღონ დაახლოებით 400 ბავშვი. მაგრამ ამ ზაფხულს საგარეუბნო კურორტებზე დასვენების მსურველი ნორჩი თბილისელები გაცილებით მეტია. კერძო მესაკუთრეებთან კოოპერაცია, ვფიქრობთ, ბევრად გადაწყვეტდა მათი დასვენების სრულფასოვანი პირობების შექმნის პრობლემას.

რაც შეეხება ნორჩების დასვენების ორგანიზაციას, მათთან ალმზრდელობითს მუშაობას, აქ პიონერთა თვითმმართველობის განვითარების ფართო შესაძლებლობებია. საქმის სასარგებლოდ შეიძლება გამოვიყენოთ თბილისში საქალაქო პარკების, საბინაო საექსპლოატაციო სამმართველოების ბაზაზე შექმნილი ეზოების ბანაკების ორგანიზაციის გამოცდილება. ბავშვებს შეიძლება დაეხმარონ აგრეთვე ადგილობრივი მცხოვრებნი — პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები. რას ვთავაზობთ დღეს ბავშვებს? დიდი-დიდი, — კინოფილმებს. დანარჩენში კი, ვისაც როგორ შეუძლია, ისე ერთობა, თუმცა შეიძლებოდა მეტად საინტერესო ლაშქრობები მოეწყოთ ტურისტულ ბიუროებს. ჩამოსულთა სულ მცირედმა ნაწილმა თუ იცის, რომ იმავე კოჯრის შემოგარეწში არაერთი უნიკალური ისტორიული ძეგლია.

ერთი სიტკვით, ყველა ჩვენი თანამოსაუბრე დაგვეთანხმება, რომ საჭიროა დაიმახსოვრეს საგარეუბნო დასვენების ქსტერეოტიპები. მიმდინარე სეზონი თავის ორგანიზაციული არეულ-დარეულობით უკანასკნელი უნდა იყოს. ამისთვის კი საჭიროა დღესვე შევიმუშაოთ მოქმედების ზუსტი გეგმა და შევუდგეთ მის განხორციელებას. (საქინფორმი).

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს“ უპასუხებენ

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საზოგადოებრივი კვების სამმართველო

„**კომუნისტში**“ ამას წინათ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი „სტუდენტთა კვებას — შეუნელებელი აუარადღება“ შეეხებოდა უმაღლესი სასწავლებლების კვების ბლოკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, მათს აღჭურვას, ვაჭრობის წესების დარღვევასა და სხვა პრობლემურ საკითხებს.

ამასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ ნ. ხვანშვილმა გვაცნობა, რომ სამმართველომ შეისწავლა წერილში აღნიშნული საკითხები და შესაბამის ორგანიზაციებს ხოხოვა ვაჭრობის ბლოკებში დასაჯდომი ადგილების გაზრდა, სარემონტო სამუშაოების შესრულება, ობიექტების სავაჭრო, სანიტარიულ-ტექნოლოგიური დანადგარებით და სხვა საჭირო ინვენტარით მომარაგება.

დაწყებულია სარემონტო სამუშაოები უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და მეჯლისი კორპუსის, ბაგების სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის სახადილოებში, ხელმძღვანელობა გადაეცა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის 800-ადგილიანი სახადილო. პოლიტექნიკური ინსტიტუტის კვების ბლოკს გაუკეთდება მიმდინარე რემონტი.

წერილში მოყვანილი ვაჭრობის წესებისა და დარღვევების ფაქტების ხელახალი შემოწმებით დადასტურდა, რომ ზოგიერთ ობიექტში იყო ანგარიშსწორებაში მოტყუების, კერძების მომზადების ტექნოლოგიური რეჟიმისა და რეცეპტურის დარღვევის შემთხვევები; მდგომარეობის გამოსწორების მიზნით განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები. რაც შეეხება კულინარიული და ნახევარფაბრიკატებით ვაჭრობას, პოლიტექნიკური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის სახადილოში გახსნილია ასეთი მაღაზია. ანალოგიური მაღაზიები შუაბოინენ ზოოვეტერინარიის ინსტიტუტის, უნივერსიტეტის I კორპუსის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, ვაკის სტუდენტების სახადილოებში.

უმაღლესი სასწავლებლების რექტორატების წინაშე დაისვა ნახევარფაბრიკატების მაღაზიებისათვის საჭირო ფართობის გამოყოფის, ანგარიშების საბობინეტენტო სისტემისა და სტუდენტთა შეღავათიანი კვების დანერგვის საკითხი.

ახალი სასწავლო წლიდან ყველა უმაღლეს სასწავლებელში დაინერგება ხტანსპორტო ფასებით კომპლექსური სადილების გაყიდვა.

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ მიიღო და ესაუბრა კომპუჩაის სახალხო-რევოლუციური პარტიისა და კომპუჩაის აზია-აფრიკის ხალხებთან სოლიდარობის კომიტეტის დელეგაციას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იმყოფება საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნებთან სოლიდარობის კომიტეტის მოწვევით. დელეგაციას მეთაურობს დეპუტატი, კომპუჩაის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგე, აზია-აფრიკის ხალხებთან სოლიდარობის კომიტეტის თავმჯდომარე იუხ სონნი. დელეგაციაში შედიან კომპუჩაის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე მეას სანი და ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი თანამშრომელი ბალინი.

მიესალმა რა სტუმრებს, გ. ნ. ენუქიძემ გაიცნო მათ საქართველოს ცხოვრება, მისი ეკონომიკა და კულტურა, შეეხო პრობლემებს, რომლებსაც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციი წყვეტს სკკპ XXVII ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათ

აქ რეგიონალურ კონტროლიორებს

საბჭოთა-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების თაობაზე სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად რესპუბლიკის ზონიერთ საწარმოში ახალი ტექნიკისა და კონტროლიორების დანერგვის მიღწევები და ნაკლოვანებები

საბჭოეთა-ტექნიკური პროგრესის კარდინალური დაჩქარება სკკპ XXVII ყრილობამ დასახა პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის ძირეულ საკითხად, და ამასთან — საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარდაქმნის აუცილებელ პირობად. ამ თვალსაზრისით, აღნიშნა ყრილობამ, უპირველესი მნიშვნელობა აქვს საწარმოო აპარატის სწრაფ განახლებას, მოწინავე ტექნიკის, ყველაზე პროგრესული ტექნოლოგიური პროცესებისა და მოქნილ წარმოებათა ფართო დანერგვას, რაც საშუალებას გვაძლევს ოპერატიულად გადავიდეთ ახალ სახეობათა პროდუქციის გამოშვებაზე და რასაც უმეტესი ეკონომიკური და სოციალური ეფექტი მოაქვს.

სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ მანქანათმშენებელთა სამეგები უკეთ მიდის, აღინიშნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში 27 ივლისს მანქანათმშენებლობის განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე. მაგრამ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო და საბჭოთა მთავრობა შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ მანქანათმშენებლობის მოდერნიზაციის პროგრამა ყველგან ისე ვერ სრულდება, როგორც ამას დაჩქარების კურსი მოითხოვს.

ჩვენი ეკონომიკური სისტემის შემდგომი სრულყოფის ამ უმნიშვნელოვანესი დირეკტიული მოთხოვნის შესასრულებლად საჭიროა მთელი სამეცნიერო-ტექნიკური და სამეურნეო სფეროს წარმომდგენელთა ძალისხმევის კონცენტრაცია. ამ სტრატეგიულ გეზს ვერც სახალხო კონტროლიორები გასდგებიან, უფრო მეტიც, სახალხო კონტროლიორები სწორედ ამ მოთხოვნათა შესრულების, მათი გაბნორციელების პროცესების ეპიცენტრში უნდა იყვნენ. აღნიშნული პროცესების სწორი მართვა კონტროლის სახელმწიფოებრივი ორგანოების აქტიური მონაწილეობის გარეშე უსახეთი და უეფექტო იქნება.

ვხელმძღვანელობთ რა ამ მოსაზრებით, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი და მისი ადგილობრივი ორგანოები დიდ ყურადღებასა და დროს ვუთმობთ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ღონისძიებათა რეალიზაციის საკითხების დამუშავება-შესწავლას, თუმცა ჯერჯერობით სასურველ შედეგს ვერ ვაღწევთ ვერც სახალხო კონტროლის ორგანოების გააქტიურებისა და აქედან გამომდინარე, ვერც დადებითი საბოლოო შედეგების მიღწევის თვალსაზრისით. სრულიად ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა წარმოებაში დანერგვის ტემპი და მდგომარეობა.

ამ სიტყვების ჰეშმარიტებაში ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების მიერ სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თბილისელექტროამძრავსა“ და საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანაში“ ჩატარებულმა შემოწმებამ.

შემოწმების დაწყებისას ვვარაუდობდით, რომ ამ შედარებით მოწონავე შრომით კოლექტივებში მეცნიერებისა და წარმოების შეთანხმებული, ჰარმონიული თანამშრომლობის ნიმუშს ვნახავდით, რაც დადებითი საქმიანობის განზოგადების საშუალებას მოგვცემდა.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ „თბილისელექტროამძრავის“ სამეცნიერო-საწარმოო და „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებათა ხელმძღვანელები ნელა გარდაქმნიან მუშაობას სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვისა და წარმოების გადაიარაღების დაჩქარების მიმართულებით სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, 1986 წელს ამ გაერთიანებებმა ვერ შეასრულეს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმა, ასევე არ შესრულდა სასაქონლო პროდუქციის მთლიან მოცულობაში უმაღლესი ხარისხის მქონე პროდუქციის წილის დადგენილი მაჩვენებელი, ვერ შეასრულეს სპეციალური ტექნოლოგიური მოწყობილობის გამოშვების გეგმაც. ყოველივე ამას ისიც დამატა, რომ „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებაში ახალი ტექნიკის და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის გეგმით გათვალისწინებული 26 ღონისძიებიდან 10-მა არავითარი ეკონომიკური ეფექტი არ მისცა საწარმოს, ამასთან შემცირების ნაცვლად, რასაც აღნიშნული ღონისძიებათა დანერგვა ითვალისწინებდა, გაიზარდა ხელის შრომით დასაქმებული მუშათა რიცხვი, ასევე არ განხორციელებულა 1987 წლის პირველ ნახევარში დაგეგმილ ღონისძიებათა ნაწილი, შესაბამისად ვერც მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტი მიიღეს.

ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის მაჩვენებელთა სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია ახალ სახეობათა პროდუქციის დანერგვისა და ათვისების მაჩვენებელი. ჩვენ დავინტერესდით, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ შემოწმებულ გაერთიანებებში. აღმოჩნდა, რომ ახალ სახეობათა პროდუქციის ათვისების დავალება არც ერთ გაერთიანებაში არ შესრულდა, რის შედეგად ბოლო წლინახევრის მანძილზე სახალხო მეურნეობას 3,2 მილიონ მანეთის ელექტრული მანქანები დააკლდა, რაც ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის არადამაკმაყოფილებელი ტემპებით დანერგვის შედეგია. ამას ისიც ემატება, რომ შემოწმებულ გაერთიანებებში ნაკლებად აწუხებთ წარმოების ტექნოლოგიური მომზადების ბედი.

ბევრი სხვა ნაკლიც „ამშვენებს“ ჩვენს მიერ ამჯერად შემოწმებულ საწარმოებს, კერძოდ, „თბილისელექტროამძრავის“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „პროტეკნის“ ფირმის ლიცენზიით ელექტროძრავებისა და კუბიანი კოლექტორების წარმოებისა და მათი სერიულად გამოშვებისათვის წარმოების ტექნოლოგიური მომზადების ქმედითი და დროული ღონისძიებები, რის შედეგად ჩაიშალა აღნიშნული პროდუქციის წარმოების 1987 წლის პირველი ნახევრის ისედაც შემცირებული გეგმის შესრულება. სათანადოდ ვერ მოამზადეს საწარმო წლევანდელ III კვარტალში ახალი კდ-180 ტიპის ძრავის გამოსაშვებად „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებაშიც. აქ წარმოების ტექნოლოგიური მომზადების 36 დაგეგმილი ღონისძიებიდან დადგენილ ვადებში მხოლოდ 16 შეასრულეს. აბა, წარმოების ასეთი ტექნოლოგიური მომზადების პირობებში რა დადებით საბოლოო შედეგებზე შეიძლება ლაპარაკი?

შემოწმებულ საწარმოებში ნაკლებად ზრუნავენ ექსპლოატაციაში გადაცემული საწარმოო მოწყობილობის ათვისების დასაჩქარებლად, რაც საგრძნობ ზიანს აყენებს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვისა და აქედან გამომდინარე ტექნიკური პროგრესის დაჩქარების დიდმნიშვნელოვან საქმეს.

„საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებაში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ექსპლოატაციაში გადაცემულ 8 დანადგარიდან 5 ათვისეს მათზე გასაშვებ-გასამართი სამუშაოების დამთავრებიდან 2-3 თვის შემდეგ, ხოლო „თბილისელექტროამძრავის“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში დღესაც უმოქმედოდაა ლითონური ზედაპირების გაწმეკიცების (გამყარების) ორი ძვირადღირებული დანადგარი, რომლებიც 1986 წლის დეკემბერში გადასცეს საექსპლოატაციოდ.

„თბილისელექტროამძრავის“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ტექნიკურმა ხელმძღვანელებმა დაადგინეს შვეიცარიის „პროტეკნის“ ფირმის ლიცენზიით ელექტროძრავებისა და კუბიანი კოლექტორების წარმოებისა და მათი სერიულად გამოშვებისათვის წარმოების ტექნოლოგიური მომზადების ქმედითი და დროული ღონისძიებები, რის შედეგად ჩაიშალა აღნიშნული პროდუქციის წარმოების 1987 წლის პირველი ნახევრის ისედაც შემცირებული გეგმა. სათანადოდ ვერ მოამზადეს საწარმო წლევანდელ III კვარტალში ახალი კდ-180 ტიპის ძრავის გამოსაშვებად „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებაშიც. აქ წარმოების ტექნოლოგიური მომზადების 36 დაგეგმილი ღონისძიებიდან დადგენილ ვადებში მხოლოდ 16 შეასრულეს. აბა, წარმოების ასეთი ტექნოლოგიური მომზადების პირობებში რა დადებით საბოლოო შედეგებზე შეიძლება ლაპარაკი?

შემოწმებულ საწარმოებში ნაკლებად ზრუნავენ ექსპლოატაციაში გადაცემული საწარმოო მოწყობილობის ათვისების დასაჩქარებლად, რაც საგრძნობ ზიანს აყენებს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვისა და აქედან გამომდინარე ტექნიკური პროგრესის დაჩქარების დიდმნიშვნელოვან საქმეს.

„საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებაში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ექსპლოატაციაში გადაცემულ 8 დანადგარიდან 5 ათვისეს მათზე გასაშვებ-გასამართი სამუშაოების დამთავრებიდან 2-3 თვის შემდეგ, ხოლო „თბილისელექტროამძრავის“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში დღესაც უმოქმედოდაა ლითონური ზედაპირების გაწმეკიცების (გამყარების) ორი ძვირადღირებული დანადგარი, რომლებიც 1986 წლის დეკემბერში გადასცეს საექსპლოატაციოდ.

ბევრი სხვა ნაკლიც „ამშვენებს“ ჩვენს მიერ ამჯერად შემოწმებულ საწარმოებს, კერძოდ, „თბილისელექტროამძრავის“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „პროტეკნის“ ფირმის ლიცენზიით ელექტროძრავებისა და კუბიანი კოლექტორების წარმოებისა და მათი სერიულად გამოშვებისათვის წარმოების ტექნოლოგიური მომზადების ქმედითი და დროული ღონისძიებები, რის შედეგად ჩაიშალა აღნიშნული პროდუქციის წარმოების 1987 წლის პირველი ნახევრის ისედაც შემცირებული გეგმა. სათანადოდ ვერ მოამზადეს საწარმო წლევანდელ III კვარტალში ახალი კდ-180 ტიპის ძრავის გამოსაშვებად „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებაშიც. აქ წარმოების ტექნოლოგიური მომზადების 36 დაგეგმილი ღონისძიებიდან დადგენილ ვადებში მხოლოდ 16 შეასრულეს. აბა, წარმოების ასეთი ტექნოლოგიური მომზადების პირობებში რა დადებით საბოლოო შედეგებზე შეიძლება ლაპარაკი?

შემოწმებულ საწარმოებში ნაკლებად ზრუნავენ ექსპლოატაციაში გადაცემული საწარმოო მოწყობილობის ათვისების დასაჩქარებლად, რაც საგრძნობ ზიანს აყენებს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვისა და აქედან გამომდინარე ტექნიკური პროგრესის დაჩქარების დიდმნიშვნელოვან საქმეს.

„საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებაში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ექსპლოატაციაში გადაცემულ 8 დანადგარიდან 5 ათვისეს მათზე გასაშვებ-გასამართი სამუშაოების დამთავრებიდან 2-3 თვის შემდეგ, ხოლო „თბილისელექტროამძრავის“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში დღესაც უმოქმედოდაა ლითონური ზედაპირების გაწმეკიცების (გამყარების) ორი ძვირადღირებული დანადგარი, რომლებიც 1986 წლის დეკემბერში გადასცეს საექსპლოატაციოდ.

ანგარიშს აბარებენ სახალხო კონტროლის ჯგუფები

რაზომ გადაირჩეს თავმჯდომარე?

სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ კანონი მოითხოვს, რომ სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები სულ ცოტა წელიწადში ერთხელ მაინც ანგარიშს აბარებდნენ ამრჩევ კოლექტივებს. სწორედ ამ მოთხოვნის შესაბამისად ჩვენი რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ძირეულ რგოლში მშრომელთა ფართო მონაწილეობით მიმდინარეობს საანგარიშო კრებები.

საანგარიშო კრებაზე მწვავე, საქმიან სჯა-ბაასს მიმართულება უპირველესად მოხსენებამ უნდა მისცეს, მაშინ ნათლად უნდა გამოიკვეთოს ის, თუ სახალხო კონტროლიორები როგორ იბრძვიან ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ვნებს ქვეყნის, ხალხის ინტერესებს, როგორ უწყობენ ფეხს იმ დიად გარდაქმნათა აღმასვლას, დღეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, ყველა უბანი რომ მოუცავს და რასაც სახალხო კონტროლის ორგანოებისაგან სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებანი, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის საქმიანობის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება მოითხოვს.

სწორედ ამაზე უნდა გამახვილებულიყო მთელი ყურადღება ხელვაჩაურის რაიონის ცენტრუსების „ნარინჯის“ სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარის ს. ჭელიძის მოხსენებაშიც, რითაც იგი ქარხნის მშრომელთა კოლექტივის წინაშე გამოვიდა.

მოხსენებაში ითქვა სახალხო მეურნეობის ძირეულ გარდაქმნაზეც, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზეც, ქარხნის გეგმებსა და ვალდებულებებზე, სახალხო კონტროლიორთა ამოცანებზეც, მაგრამ, სამწუხაროდ, მასში არ იყო ნათქვამი მთავარი — ქარხნის მუშობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, ხელისშეშლელ გარემოებებზე და მათი აღმოფხვრისათვის, მდგომარეობის გამოსწორებისათვის სახალხო კონტროლის ჯგუფის, თითოეული სახალხო კონტროლიორის საქმიანობაზე. რამდენიმე უმნიშვნელო, წვრილმანი ნაკლი დაასახელა, რომლებიც თითქოსდა მათ მიერ მოწყობილი შემოწმებებით გამოვლინდა, მაგრამ მარტო ამით დაკმაყოფილდნენ.

ვერც კამათმა შეაცვლო მოხსენების ნაკლი, სიტყვით გამოსულნიც გვერდს უვლიდნენ ნაკლოვანებებს, კრიტიკულ შენიშვნებსა თუ წინადადებებს, ზოგადი ფრაზებით ამოწურავდნენ საუბარს.

თუმცა, ჰქონდათ კი რაიმე საუბარი?

წელიწადი და სამი თვე გავიდა ზარშან გამართული საანგარიშო-საარჩევნო კრებიდან. 15 თვის მანძილზე ჯგუფმა მხოლოდ 5 შემოწმება მოაწყო, მაგრამ ისე უსუსურად, ზერელედ, რომ 3 შემოწმების შედეგები ჯგუფის კრებაზეც კი არ განუხილავთ. დანარჩენი ორიც მოვალეობის მოხდის მიზნით განიხილეს, ისე, რომ არ დაუდგენიათ ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზები, კონკრეტული დანაშაულე პირები, არ დაუსახავთ ღონისძიებები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ბუნებრივია, საკითხები შემდგომი რეაგირებისათვის ქარხნის დირექციასა და პარტიულ ორგანიზაციაში არ შეუტანიათ, არც ამხანაგური სასამართლოსათვის მიუმართავთ და საზოგადოებრივი ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებებიც არ გამოუყენებიათ.

ჯგუფი და მისი თავმჯდომარე ხელაღებით უგულებელყოფდნენ საჯაროობის ქმედით ძალას. მშრომელთა კოლექტივს მომავალ შემოწმებებზე და არც მის შეკრებებზე აცნობებდნენ რაიმეს.

უფრო მეტიც, ახლა როცა მთელი ქვეყანა და, ალბათ, ქარხანაც გარდაქმნის, წინსვლის, სრულყოფის სულისკვეთებით ცხოვრობს და იღვწის, სახალხო კონტროლიორებმა და მათმა წინამძღოლმა, როგორც ჩანს, შორიდან მჭვრეტელის პოზიცია ირჩიეს, წლევანდელ 7 თვეში მხოლოდ და მხოლოდ ერთი შემოწმება ჩაატარეს.

შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, ცტრუსების შემფუთველი ქარხანა „ნარინჯი“ იქნებ ისე გამართულად მუშაობს, რომ სახალხო კონტროლიორებს საქმე გამოელიათო, სამწუხაროდ, ასე არ არის.

შექმნილი მდგომარეობა თვითდამშვიდების უფლებას არ აძლევს ქარხნის არც ერთ მუშაკს, თან უმეტეს სახალხო კონტროლიორს! თავად განსაჯეთ: ქარხანა სისტემატურად ვერ ასრულებს მოწოდების სახელშეკრულებო გეგმა-ვალდებულებას, უშვებს უხარისხო პროდუქციას, ცდება ძვირადღირებული იმპორტული დანადგარები, ირღვევა შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინა, იხდიან დიდძალ ჯარიმებს და ა. შ. სწორედ ეს დარღვევა-ნაკლოვანებები გახდა არა ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის, არამედ აბარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მკაცრი მსჯელობის საგანი.

ამჟამად ქარხანაში სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. აბა, ვის, თუ არა სახალხო კონტროლის ჯგუფს, უნდა დაემყარებინა სისტემატური კონტროლი მის მიმდინარეობისადმი. მაგრამ სახალხო კონტროლიორებს ამისათვის თავი არ შეუწუხებიათ, ამ დროს კი ხელვაჩაურის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის მიერ მოწყობილმა შემოწმებამ აქ გეგმების შეუსრულებლობის, სამუშაოს უხარისხობისა და ბევრი სხვა სერიოზული დარღვევები გამოავლინა.

| დიახ, სახალხო კონტროლის ჯგუფი, მისი თავმჯდომარე ს. ჭელიძე მოსწყდა ქარხნის ყოველდღიურ ცხოვრებას, პასიური პოზიცია დაიკავა, ამიტომაც სავსებით სწორი იყო მშრომელთა კოლექტივის გადაწყვეტილება ვადამდე გამოეწვიათ სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე და გადაიხლისებინათ ჯგუფის შემადგენლობა.

სახალხო კონტროლის ჯგუფის, თითოეული სახალხო კონტროლიორის ადგილი მშრომელთა კოლექტივის ავანგარდშია და მარნინარობას, განზე გადადგომას მათ ვერავინ აპატიებს.

ს. ხერგიანი,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი.

ასე გაიზრდება ხორცის წარმოება?

ხურასათი, განსაკუთრებით კი ხორცით მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილების თაობაზე სკკპ XXVII ყრილობის მითითების განხორციელება, ალბათ, ძალზე გაჭირდება, თუ საზოგადოებრივმა მეურნეობებმა მეტი არ იზრუნეს მეცხოველეობის განვითარებისათვის.

მაგრამ, აბა, რა ზრუნვაზე მეიძლება ლაპარაკი იმ ფაქტების მიხედვით, რომლებიც გაგრის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის მიერ მოწყობილი შემოწმებით ზონის საზოგადოებრივ მეურნეობებში გამოვლინდა.

სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. გარანიანს რომ ჰკითხო, თუ მარშან რატომ გაყიდეს 40 სული საქონელი, რომლის საერთო წონა 2,4 ტონა იყო, გიპასუხებთ: ნახირის შემდგომი გამრავლებისათვის გამოუსადგარი იყოო. მაგრამ ამის დამადასტურებლად აგროსამრეწველო გაერთიანების მთავარი ზოოტექნიკოსის მიერ დამტკიცებულ წუნდების აქტს ვერ წარმოადგენს. არადა, ამ აქტით ყველაფერი რიგზე, შარშანდელი საანგარიშო მონაცემებით, კოლმეურნეობამ თითქოსდა გადაჭარბებით შეასრულა საკვების დამზადების გეგმები, მაგრამ როგორც ჩატარებულმა იხილეს, ამ ოპერაციით კოლმეურნეობამ 2218 მანეთი იზარალა.

შარშან სხვადასხვა საქონროებისათვის 17,4 ტონა რძე დახარჯეს, საწარმოო საფინანსო გეგმით კი ამისათვის მხოლოდ 12 ტონა იყო გათვალისწინებული. თანაც, 4020 მანეთის 6,7 ტონა რძე ვითომდა ხბოების გამოკვებაზე გადახარჯეს.

უფრო დიდი ზარალი განიცადეს 24 სული საქონლის იძულებითი დაკლება. ჯერ ერთი, დაკლული საქონელი თითქმის მთლიანად მოზარდიყო იყო, მეორეც, მათი საბალანსო ღირებულება 8130 მანეთია, კოლმეურნეობებში ხორცის რეალიზაციით კი მხოლოდ 2400 მანეთი აინაზღაურეს, თანაც სახელმწიფოს 16 ტყავიღა ჩაბარეს.

არც საკვების ხარჯვა-პატრონობაში აქვთ ყველაფერი რიგზე, შარშანდელი საანგარიშო მონაცემებით, კოლმეურნეობამ თითქოსდა გადაჭარბებით შეასრულა საკვების დამზადების გეგმები, მაგრამ როგორც ჩატარებულმა იხილეს, ალბათ, ალბათ, ძალზე ბევრ ადგილას, ალბათ, ალბათ, ალბათ

გვასახელე „გურჯაანი“

ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის პროფესიულმა კოლექტივებმა კარგა ხანია აღიარება პოვეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. უკანასკნელ წლებში დიდი წარმატებები აქვთ თვითმოქმედ ანსამბლებსაც. მათ შორისაა გურჯაანის ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლი, ამ ცოტა ხნის წინათ 25 წელი რომ შეუსრულდა.

ანსამბლი „გურჯაანი“, რომლის პირველი ხელმძღვანელი ცნობილი ლოტბარი ოთარ ბეცაშვილი იყო, სამოციანი წლების დამდეგს შეიქმნა. 1967 წლიდან ანსამბლის შემადგენლობა გადახალისდა და მას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ქართული ხალხური სიმღერის ამაგდარები — თემურ ქევხიშვილი და ავთანდილ ზარდიაშვილი. ახლა კი მისი თაკკაცები არიან საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატები — ლოტბარი ზურაბ სიხარულიძე და ქორეოგრაფი ავთანდილ გურგენიძე.

ანსამბლის წევრები სხვადასხვა პროფესიისანი არიან და ძირითად საქმიანობას შესანიშნავად უთავსებენ ანსამბლში მოღვაწეობას. 1976 წელს, „გურჯაანს“ თვითმოქმედი სახალხო ანსამბლის საპატიო წოდება მიენიჭა.

საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა სხვადასხვა დროს ანსამბლ „გურჯაანის“ შესრულებით ჩაიწერა და ეთერში გადასცა მრავალი სიმღერა, ხოლო ფირმა „მელოდიამ“ 1981 წელს გამოუშვა გრამფირფიტა.

დიდი ამაგი დასდეს ანსამბლ „გურჯაანს“ ძველი თაობის წარმომადგენლებმა: მიხეილ ჩუგოშვილმა, გიორგი გოგოლაშვილმა, ვახტანგ, გიორგი და ნიკოლოზ ქაჩლიშვილებმა, ზურაბ გოგლიძემ და სხვებმა. ისინი შეცვალეს ნიჭიერმა ახალგაზრდებმა ბაადურ მირველაშვილმა, კოტე გორჩაშვილმა, ლევან გოგინაშვილმა, ამირან გეთიაშვილმა, სიმონ ძამსაშვილმა, გივი კობიაშვილმა, სიმონ რუაძემ, ოთარ და შევლუდ მირველაშვილებმა.

საინტერესო და მრავალფეროვანია ანსამბლის რეპერტუარი, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი შესრულებით „მრავალჟამიერი“, „საქორწინო“, „ჩაკრულო“, „არხალალო“. „შენ ხარ ვენახი“, „წინწყარო“, „მირანგულა“, „ლეჩხუმური მაყრული“ და სხვ.

რეპერტუარშია ასევე ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები: მ. მერაბიშვილის „სიმღერა მცხეთაზე“ და „სიმღერა გურჯაანზე“, რ. ლადიძის „ჩემო კარგო ქვეყანავ“, რ. ჩირინაშვილის „ისევ სიმღერა დასძახე“, ვ. მურადელის „ბუხენვალდის ნაღარა“, ჯ. ადამაშვილის „ჯარჯის სიმღერა“ და მრავალი სხვა.

აღსანიშნავია ანსამბლის მოცეკვავეთა ჯგუფის მიერ შესრულებული ეროვნული ცეკვები: „ქართული“, „აჭარული“, „მთიულური“, „ყაზბეგური“, „დავლური“, „ფარიკაობა“, სადაც გამოირჩევიან სოლისტი მოცეკვავეები ომარ მირიანაშვილი, ილია შოშიაშვილი, ლეილა ქოროღლიშვილი, მაია ჭოკაძე და სხვები.

ფართოა ანსამბლის მოღვაწეობის არე. თავისი არსებობის მანძილზე „გურჯაანი“ წარმატებით გამოდიოდა ჩვენი რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში, გარდა ამისა, ანსამბლი რამდენჯერმე იყო საგასტროლოდ საზღვარგარეთ: გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1980 წ.), ბულგარეთში (1984) და უნგრეთში (1985).

ანსამბლის ბიოგრაფიის ერთ-ერთი ნათელი ფურცელია რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატობა (1981 წ.) და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო შხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებაზე ლაურეატის მედლით დაჯილდოება (1985 წ.).

სულ მალე — სექტემბერში ტასპანეთის რამდენიმე ქალაქი უმასპინძლებს ფოლკლორული ანსამბლების საერთაშორისო ფესტივალს, რომელშიც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის თვითმოქმედი კოლექტივი მიიღებს მონაწილეობას. საინტერესოა, რომ ჩვენს მრავალეროვან ქვეყანას ფესტივალზე წარმოადგენს გურჯაანის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი სახალხო ანსამბლი. წარმატება ვუსურვოთ გურჯაანელებს.

მ. ჩოდრიშვილი.
მუსიკათმცოდნე.

სურათზე: ანსამბლ „გურჯაანის“ მოცეკვავეთა ჯგუფი.

ოქტომბრის პირველი ნაბიჯებიდან

დიდ ოქტომბერს, მის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას ეძღვნება დოკუმენტურ-მხატვრული კომპოზიცია „დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა“. ეს ლამაზად გაფორმებული ალბომი, რომელიც ორი ფირფიტისაგან შედგება, შექმნეს საკავშირო ფირმა „მელოდიისა“ და სსრ კავშირის ხმის ჩაწერის ცენტრალური სახელმწიფო არქივის სპეციალისტებმა. ალბომში შეტანილია იშვიათი ფონოდოკუმენტები, 1917 წლის რევოლუციურ მოვლენათა მონაწილეების მოგონებები, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეთა სიტყვები, აგრეთვე ფრაგმენტები ამერიკელი კომუნისტი მწერლის ჯონ რიდის ცნობილი წიგნიდან „10 დღე, რამაც შეძრა ქვეყნიერება“.

რევოლუციურ მოვლენათა მონაწილეების ნაამბობი თავისუფლებისათვის ხალხის ბრძოლის სიოცარ და უაღრესად ერცელ სურათს გვიხატავს. ისინი გვიჩვენებენ, თუ როგორ მკვიდრდებოდა საბჭოთა ხელისუფლება და როგორ სწავლობდნენ გუშინდელი მუშები, მეზღვაურები, გლეხები თავიანთი განთავისუფლებული ქვეყნის მართვას.

და კიდევ ერთი თემა აისახა დიდ და მნიშვნელოვან ისტორიულ ნამუშევარში, რომელიც მოგვითხრობს დიად რევოლუციაზე. ეს თემა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ბრძოლა მშვიდობისათვის. არაფერია იმაზე სოციარი, ვიდრე ისტორიული დოკუმენტების სადა ენა, რომელიც გაისმის როგორც უმაღლესი პოეზია: არსებობის პირველი დღიდანვე საბჭოთა ქვეყანა მშვიდობისათვის მებრძოლი და მშვიდობის ბურჯია. (**საკ.ინფ. კორ**).

▼▼

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უკრაინის სს რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენლობამ მტკიცე პროტესტი განუცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივ წარმომადგენლობას ამ ცოტა ხნის წინანდელი პროვოკაციის გამო. ნოტაში ნათქვამია, რომ 1987 წლის 6 აგვისტოს ღამით ნიუ-იორკის ბინას, რომელშიც უკრაინის სს რესპუბლიკის წარმომადგენლობის თანამშრომელი ცხოვრობს, ესროლეს.

შემთხვევის ადგილას პოლიციას გამოუძახეს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უკრაინის სს რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენლობას, ხაზგასმულია ნოტაში, ეს შემთხვევა მიაჩნია პროვოკაციად, რომლის მიზანია ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინონ მის თანამშრომლებზე, გაართულონ მათი იქ ყოფნისა და საქმიანობის პირობები. ეს საბჭოთა წარმომადგენლების მიმართ მტრული კამპანიის ლოგიკური შედეგია, რაც არაერთგზის აღენიშნავთ ადგილსამყოფელ ქვეყანასთან კავშირურთიერთობის კომიტეტში.

ნოტა ამერიკის მხარისაგან მოითხოვს ყველაფერი იღონოს, რათა არ დაუშვას ამგვარი მოქმედება მომავალში, უზრუნველყოს წარმომადგენლობის თანამშრომელთა და მათი ოჯახების წევრთა უშიშროება, გამოავლინოს და დასაჯოს დამნაშავენი.

ქაბულში სადღესასწაულო ატმოსფერა — ავღანელი ხალხი დღეს, 19 აგვისტოს აღნიშნავს თავისი სახელმწიფოს დამოუკიდებელი განვითარების მორიგ წლისთავს. საცხოვრებელი სახლების, ფაბრიკებისა და დაწესებულებების კედლებზე ფრიალებს სამფეროვანი ეროვნული ალმები, საელჩოებში, საელჩოებში ფერადი ნათურების გირლანდები ბანაობენ. ავტომობილების მინებს ამშვენებს ემბლემები და პლაკატები, რომლებიც ეძღვნება ინგლისელ კოლონიზატორებთან ომში გამარჯვებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების 68 წლისთავს.

მაგრამ ამ დღეებში ქუჩებში ნახავთ სხვა სურათსაც: სახალხო მილიციის გაძლიერებული რაზმები, ტერორიზმთან ბრძოლის სპეციალური ქვეგანყოფები ქუჩაში აჩერებენ და გულდასმით ამოწმებენ მანქანების მთელ ქარავნებს, რომლებიც კრძო მფლობელს ეკუთვნით — მათ შეიძლება მოჭრნდეთ დივერსიული აქტებისათვის განკუთვნილი ნაღმები და ასაფეთქებელი მასალა.

დიახ, სწორედ ასეთ რთულ ვითარებაში ეგებებიან ავღანელი მშრომელები თავიანთ ყველაზე დიდ დღესასწაულს. და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, მთ აქვთ ოპტიმიზმის საბაბი. ქვეყანაში თანამიმდევრულად და განუხრელად ხორციელდება ეროვნული შერიგების პოლიტიკა, რომელიც ყველა სოციალური ჯგუფისა და მოსახლეობის ყველა ფენის მისწრაფებებს შეესაბამება. ავღანელი ხალხი გაბეზრებულია 9 წლის ძმათამკვლელი ომით, და დღეს უკვე სავსებით რეალურად ისახება მისი უდიდესი სურვილის განხორციელება — მშვიდობისა და უშიშროების აღდგენა სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე.

მაგრამ ავღანეთის მთავრობის შერიგების ჰუმანური და სამართლიანი კურსის საბოლოო გამარჯვებამდე, ალბათ, ჯერ კიდევ შორსაა. დღეს ყოველმა ავღანელმა იცის, რომ ავღანეთის შეიარაღებული ძალების მიერ ცეცხლის შეწყვეტის პირობების დაცვის მიუხედავად კონტრრევოლუციის შეურიგებელ ნაწილს, რომელიც მის უმრავლესობას შეადგენს, არ სურს გამართოს მშვიდობიანი დიალოგი ხელისუფლებთან, და განაგრძობს ყაჩაღურ მოქმედებას. შერიგებისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის კურსის გამოცხადების დროიდან განვლილი ექვსი თვის მანძილზე კონტრრევოლუციონერებმა 11 ათასჯერ დაარღვიეს დაზავების პირობები. ბანდიტებმა დახოცეს 400-მდე მშვიდობიანი მცხოვრები. ათასზე მეტი ავღანელი მოქალაქე დაიჭრა. გარდა ამისა, დუშმანთა ტერორის შედეგად დაიღუპა სატრანსპორტო თვითმფრინავების ბევრი მგზავრი.

უკანასკნელი თვე აღინიშნა მთელი რიგი ტერორისტული აქტებით, რომლებიც დუშმანებმა ავღანეთის სხვადასხვა პროვინციაში ჩაიდინეს. 19 ივლისს მოხდა აფეთქება ქაბულის მიკრორაიონის ბაზარში: სამი კაცი დაიღუპა, 14 დაიჭრა. შემთხვევის ადგილზე რომ მივედით, დავინახეთ სისხლით მორწყული ქუჩა, დაფლეთილი მანქანები, ლითონჯოხსტრუქციების ნატეხები, აფეთქებამდე დუქნების კედლები რომ იყო, ვიტრინების ნამსხვრევები. ყოველი მხრიდან მოისმოდა დაჭრილთა გოდება, რომლებიც ჰოსპიტალში ჯერ ვერ წაეყვანათ. საკდესის კორესპონდენტს თვითმხილველებმა უამბეს, რომ ბანდიტებს ასაფეთქებელი მასალა ჩაუდვიათ მოტოციკლის კორპუსში, რომელიც ერთ-ერთ მაღაზიასთან დაუტოვებიათ.

ამ ცოტა ხნის წინათ ბანდიტთა შენაერთებმა რაკეტებისა და ნაღმსატყორცნების ეცხლი დაუშინეს ბამიანის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრის მთავარ კინოთეატრს, სადაც ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები შეკრებილიყო ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის განსახილველად. აქაც დაჭრილთა კვნესა და გოდება, გაუბედურებული დედების ცრემლი, დახიბრებული ბავშვების ტირილი ისმოდა.

ეს ავღანეთის დღევანდელი რეალობაა, რომელსაც ვერ გაექცევი. მაგრამ შფოთიანი ვითარების მიუხედავად ქვეყანაში მაინც იგრძნობა სასიკეთო ცვლილებები. ცეცხლის შეწყვეტის ექვსი თვის მანძილზე, სხვადასხვა მონაცემებით, შეიარაღებული წინააღმდეგობა შეწყვიტა სახალხო ხელისუფლების 15-და 25 ათასამდე მოწინააღმდეგემ. ასობით ბანდასთან, რომელთა შემადგენლობაში ათიათასობით კაცია, დღეს წარმოებს აქტიური მოლაპარაკება დაზავების პირობების შესახებ. ირანიდან, პაკისტანიდან, სხვა ქვეყნებიდან ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაბრუნდა 60 ათასზე მეტი ლტოლვილი, რომლებსაც სწადიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ახალი ცხოვრების მშენებლობაში. ავღანეთის სახალხო დემოკრატიულმა პარტიამ და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, რომლებიც თავიანთ ძველთაძველ მიწა-წყალზე მშვიდობის აღდგენას ესწრაფვიან, განაცხადეს, რომ მზად არიან ხელისუფლება გაუზიარონ ოპოზიციის წარმომადგენლებს და დაუთმონ მათ მთელი რიგი ხელმძღვანელი სახელმწიფო პოსტები. მიღებულია კანონი არსებულ პარტიათა ლეგალიზაციისა და ახალთა შექმნის შესახებ. ესეც ისეთი ფაქტებია, რომელთა მიჩუმათება დასავლეთის მასობრივი იფორმაციის საშუალებებსაც კი არ შეუძლიათ.

ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას დამოუკიდებლობის 69 წლისთავი დაუდგა. სწორედ ავღანეთის დამოუკიდებლობის განმტკიცების, ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, ეროვნული დაზავების და ერთობის უზრუნველსაყოფად იღვწიან ქვეყნის რევოლუციური ხელისუფალნი და, ობიექტური სინამდვილის გათვალისწინებით, სახავენ მშვიდობისმოყვარულ ინიციატივებს, რომლებიც კომპრომისულ ხასიათს ატარებს. ის ფაქტი, რომ ავღანეთის ხელმძღვანელობა ასეთ ნაბიჯებს დგამს, მოწმობს, რომ ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტია ჭეშმარიტად სახალხო პარტიაა, რომელმაც ირგვლივ შემოიკრიბა მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციისა და სამოდელოების წარმომადგენელთა მებრძოლი რაზმი. სწორედ პარტიას, და არა ყბადაღებულ ფსევდომუსლიმანურ ორგანიზაციებს ეკუთვნით ოპოზიციასთან მშვიდობიანი და კონსტრუქციული დიალოგის ინიციატივა.

კიდევ რამდენ ხანს გასტანს ავღანელი ხალხისათვის უძნელესი ომი? ამ კითხვაზე ვერავინ გასცემს პასუხს. მაგრამ ერთი რამ ცხადია — ხალხი, რომელმაც დესპოტიზმის უღელი გადააგდო, დაამარცხა 68 წლის წინათ. ინგლისელ კოლონიზატორთა „უძლეველი“ არმია და წვითა და დაგვით მოიპოვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, არავის დაანებებს თავისი სვე-ბედის გამგებლობას. სწორედ ეს არის მისი ძლიერების წყარო და მომავალი გამარჯვების საწინდარი.

ანდრია ბრეშნოვი.
საკდესის კორ.

ქაბული

ნათელი კეთილი გულისა

არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი: სულ რამდენიმე ქართველი მწერალი დასახელება შეიძლება, მხოლოდ ბავშვებზე და ბავშვებისათვის რომ წერენ. ზოგიერთ მკითხველს, და მწერალსაც კი, ეჩვენება, თითქოს ადვილი სწორედ ბავშვებისათვის წერაა. მაგრამ საქმეში ჩახედულმა კარგად იცის, რომ ასე როდია...

ჩვეულებრივი ამბავია: ბავშვი ავტორიტეტს არ ცნობს, რომელი ნაწარმოებიც მოსწონს, მის ავტორსაც ადვილად იხსომებს. ამ მხრივ მართლაც სამაგალითონი არიან ბავშვები. გულახდილობა რაკი ბავშვების თვისებაა, ამიტომ ნაწარმოებიც ბუნებრივი, კეთილი, ცხოვრებისეული მოსწონს.

ხალხი ბრძენია — ზღაპარში სიკეთე იმარჯვებს ყოველთვის, ყოველთვის კეთილად, დამამშვიდებლად მთავრდება ყოველი ზღაპარი. ზღაპარში ამბავი ხდება, ვიღაც ვიღაცას ებრძვის, ეღობება, დევნის. კარგად იციან ბავშვებმა, ბოროტი რომ ვერ გაიმარჯვებს, ამიტომ გვისმენენ ყურადაქვეტილები. ჩვენ კი, ჩვენ, ზოგჯერ არაფრის მთქმელ, ჩამტაბარ, უსახურ ნაწარმოებს ვთავაზობთ, და აღარც გასაკვირია, გასაკვეცად ეჭიროთ თვალი. თამამად უნდა ითქვას, სამავშვო კრიტიკა არა გვაქვს, უსუსური სამავშვო ნაწარმოებებიც ამიტომ მოგვემატა.

გიორგი წერეთლის სამავშვო პოეზია სამეფნიერო გამონაკლისია. ეს პოეტი იმ რამდენიმე მწერალს განეკუთვნება, დღეს ტონს რომ აძლევენ საყმაწვილო ლიტერატურას, კერძოდ, პოეზიას. ყველაფერს წერს ლექსად, ბალადად, — ზღაპარს, გამოცანას, ზარადას, ენის გასატეხს... და ყველაფრს მისი ხელი ატყვია, მისი ნიშნის მადლი. ბავშვს ნაწარმოების, კერძოდ, ლექსის სხატი, მოულოდნელი დასასრული მოსწონს. გიორგი წერეთელიც სწორედ ასე ამთავრებს თავის ლექსებს, თანაც ეს ისე ბუნებრივად ხდება, თითქოს სხვანაირად არც მოველოდით:

მთელ წელს სძინავს საწნახელს,
გაიღვიძებს მაშინ —
უურძნის კრეფას ბაბუა
რომ დაიწყებს ზვარში.

სამავშვო ლიტერატურაში მუშაობისათვის მარტო სურვილი არ კმარა, მთავარია ბავშვების სულიერი სამყაროს ზედმიწევნით ცოდნა. იზრდება ბავშვი და მისი შემეცნებითი სამყაროც იზრდება. გიორგი წერეთელი ის მწერალია, რომელიც ითვალისწინებს ბავშვის ასაკს. ამას არა მარტო მისი წიგნები მეუბნება (რითაც შეიძლება ვერ გავითვალისწინოთ ბავშვის ასაკი, ანდა უნებურად გაგვეპაროს ისეთი ლექსი), არამედ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მისი ლექსები. ძირითადად იმ ასაკს ეხება ის ლექსები, რომელსაც ითვალისწინებს ჟურნალი თუ გაზეთი.

გიორგი წერეთელი მიწის მოყვარული კაცია, არც თოხი ეუცხოება, არც ბარი, არც სასხლეტი... მაღაროშიც უმუშავია, ასე რომ, არც წერაქვი მისთვის უცხო. ამას აი, რატომ ვამბობ: ზოგზოგს ისე წარმოუდგენიათ, თითქოს მწერლები რაღაც სხვა კატეგორიის ხალხი იყვნენ, ცისკენ — ვარსკვლავებისაკენ გაურბოდეთ თვალი, თითქოს, მათთვის უცხო იყოს ცხოვრებისეული თუ ყოველდღიური, ოჯახური საზრუნავი: ისეკე როგორც ჩემი თაობის უმეტესობას, გიორგი წერეთელსაც არ ჰქონია დალხინებული ბავშობა. სწორედ ეს არის საწინდარი, ასე ზედმიწევნით კარგად რომ იცნობს ცხოვრებას. ბუნებრივია, ჩვენი იუბილარი არ უსურვებს თავის შვილთა-შვილებს ბავშობის იმ გზის გავლას, თვითონ რომ გაუვლია, მაგრამ ის გასაჭირი სასიკეთოდ წაადგა მის შემოქმედებას — ამაზეა ნათქვამი, ზოგი ჭირი მარგებელიაო.

გიორგი წერეთელი

წერეთელმა დაგვიბარა!

— წერეთელმა დაგვიბარა!..
— წერეთელმა დაგვიბარა!..
რომ იმღერით კაი, მარა
რა ბოსტანი დაგიბარათ,
რა საბჭოში დაგიბარათ,
რა ანდერძი დაგიბარათ,
ჩემთვის რატომ
დაგიფარავთ?

არ იმღერებთ პაიპარად...
წერეთელმა დაგიბარათ:
ვენახს არვინ დაგიბარავთ,
მიწას აჩნდეს კვალი მარად,
არ იაროთ კარი-კარად,
კვლავ იდექით ბარის ფარად.

იამაყეთ ამ მთით მარად,
ნიკორწმინდა დაგიფარავთ,
ვული ვინაც აიყარა,
სხვა მიწაზე არ იხარა,
მიხვდეთ თქვენს ნარიყალას,
მოაცილეთ ნარი ყანას.

არ მორბოდეს ხალხი
ბარად,
არ მოაკლდეს ცხვარი ფარას,
წერეთელმა დაგიბარათ!..
წერეთელმა დაგიბარათ!..

კატინა

აქ განისვენებს დედოფალი
ვეირგვინოსანი,
პოეტის სატრფო
და ასული დიდი მგოსანის.
ცოლისდა რუსის,
დედა კოლხის,
სიდედრი ფრანგის...
ყველანი იყვნენ
სწორუპოვარ დიდების
რანგის.

დასამყვრებლად
პიტერსა და პარიზს მიადგა,
მედეას ჰგავდა ჭაბუკ ჭაბუკაძის
ქალი კატინა,
რაინდები რომ ომერფაშას
თვალით ატირა,
ტატოს გულისთვის რომ
იტირა და იმარტვილ!

ის იყო მკაცრიც
და სიკეთის
კვალადმჭნეველიც,
მწყემსი ცოლხეთის
და „მერანის“ გადამრჩენელი.
თუ ერთობისთვის იმერ-
ამერს გზა დაგეჭარგა,
სატრფო დაკარგა,
პოეტი კი არ დაგეკარგა.
პიტერს მზეობდა,
არც ჩვენი ცა არ დაგიბერა,
ილიას ხელით „ქართლის
ბედი“
კვლავ დაგვიბრუნა.

მტკიცე პროტესტი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უკრაინის სს რესპუბლიკის წარმომადგენლობის საპროტესტო ნოტა

▼▼

თბილისის საბავშვო ანსამბლის გამოსვლები

კოპენჰაგენი. დანიის კომპარტიის ცენტრალური ბეჭდვითი ორგანოს გაზეთ „ლენ ოგ ფოლკის“ ფესტივალზე დიდი წარმატებით გამოვიდა ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი, თბილისის მესამე ექსპერიმენტული საშუალო სკოლის საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლი საქართველოს სსრ დამსახურებული პედაგოგის თ. ა. გოგოტიშვილის ხელმძღვანელობით. ფესტივალის სტუმრები აღფრთოვანებით შეხვდნენ ნორჩი მოცეკვავეების გამოსვლებს, რომლებმაც დიდი საშემსრულებლო ოსტატობა გამოიჩინეს.

საქართველოს საბავშვო ანსამბლმა კონცერტი გამართა გემთსაშენის „ბურმასტერ ოგ ვაინის“ მუშებისა და დანიელი კომკავშირელებისათვის, მონაწილეობა მიიღო დანიის ტელევიზიის პროგრამაში.

ლისაბონი. 17 აგვისტოს ლისაბონის აეროდის სასახლეში გაიმართა პორტუგალიის ახალი მთავრობის ფიცის დადების ცერემონია. მთავრობა შეიქმნა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რომელიც ამა წლის ივლისში გაიმართა. მთავრობას მეთაურობს არჩევნებში გამარჯვებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ანიბალ კავაკუ სილვა — წინანდელი ერთპარტიული კაბინეტის პრემიერ-მინისტრი, რომელიც წელიწადნახევარს იყო ხელისუფლების სათავეში.

ახლანდელი კაბინეტის მინისტრთა უმრავლესობა შედიოდა წინანდელ კაბინეტში. პრემიერ-მინისტრის მოადგილე და თავდაცვის მინისტრი გახდა ეუერიკუ დი მელუ, საგარეო საქმეთა მინისტრი — განათლებისა და კულტურის ყოფილი მინისტრი ჟუან დი დეუშ პინეიროუ.

უახლოეს დღეებში ახალმა მთავრობამ დასამტკიცებოდან უნდა წარუდგინოს თავისი პროგრამა რესპუბლიკის კრებას (პარლამენტს), რომელშიც ადგილების დიდი უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებს ეკუთვნით.

— აშუ —

ავიაკატასტროფა

ვაშინგტონი. კვირა საღამოს დეტროიტის მახლობლად აეროპორტში მოხდა დიდი საავიაციო კატასტროფა. როგორც თვითმხილველნი იუწყებიან, ავიაკომპანია „ნორტუესტ ეირლაინგზის“ თვითმფრინავი აფრენის დროს, როგორც ჩანს, წამოედო ავტომაგისტრალის ხიდს. როგორც ასოციეიტედ პრესის საგანგებო იუწყება, თვითმფრინავში იყო 144 მგზავრი და ეკიპაჟის ხუთი წევრი. ჯერჯერობით ზუსტად არ არის ცნობილი მსხვერპლთა რიცხვი, მაგრამ, როგორც საინფორმაციო საგანგებო აღნიშნავს, ზოგიერთი მგზავრი, შესაძლოა, გადარჩა.

ეს ამ აეროპორტში წლის დამდეგიდან უკვე მეორე საავიაციო კატასტროფაა. 5 მარტს ორმოტორიანი თვითმფრინავი, რომელშიც 19 კაცი იყო, შეეჯახა ასაფრენ ზოლზე სატვირთო ავტომანქანას. ცხრა კაცი დაიღუპა, 20 კაცი, მათ შორის ათი აეროპორტის პერსონალიდან, დაშავდა.

18 აგვისტო ● საკდესი იუწყება

დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გზით!

ბანგლადეში 15 აგვისტოს ბანგლადეშის ეროვნული ბიბლიოთეკის ეზოში,